საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ცილისწამებით და ჭორებით ბრძოლის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ოთხშაბათი, 24 იანვარი. 2018 წ. №14 (8415), გამოცემის მე-100 წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

2017 წლის ძირითადი შედეგები

„ადამიანური კომედია“ თუ... საქართველოს ტრაგედია?!

3

გამქრალი ოცნებები... არაგალგზაკისეულად

ნატალია საბანაძე, 5 უვიზო მიმოსვლის შეჩერების მექანიზმი არ ამოქმედდებაო!

JSW GROUP საქართველოში ორი მსხვილი პროექტის განხორციელებას გეგმავს

მსოფლიოს ერთ-ერთი წამყვანი ჰოლდინგური კომპანია JSW Group საქართველოში ორი მსხვილი პროექტის განხორციელებით არის დაინტერესებული, — პოტენციურ საინვესტიციო პროექტებზე საქართველოს პრემიერ-მინისტრმა და JSW Group-ის თავმჯდომარემ საჯან ჯინდალმა შეხვედრაზე ისაუბრეს, რომელიც დავოსის მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის ფარგლებში გაიმართა.

JSW Group-ის თავმჯდომარემ დადებითად შეაფასა საქართველოში არსებული ბიზნესგარემო, ქვეყნის მთავრობასთან თანამშრომლობა და აღნიშნა, რომ კომპანია ქვეყანაში კიდევ უფრო მეტი ინვესტიციის განხორციელებით არის დაინტერესებული.

საუბარია მსხვილ ინვესტიციაზე, რომლის შესახებ პროექტების ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის შემდეგ, მიმდინარე წლის ბოლომდე გახდება ცნობილი. JSW Group მრავალ მილიარდდოლარიანი კონგლომერატია, რომელიც, ძირითადად, ფოლადის, ცემენტის წარმოებისა და სხვადასხვა სახის ინფრასტრუქტურის განვითარების სფეროში საქმიანობს.

„ბახალას“ 8 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა

მსახიობ გიორგი გიორგანაშვილს სასამართლომ 8 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. გიორგანაშვილი დარბაზშივე დააკავეს. გიორგანაშვილი მას შემდეგ აიყვანეს, რაც მოსამართლემ მის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენი გამოაცხადა. აღნიშნული გადაწყვეტილება მოსამართლემ შორენა გუნცაძემ ადგილზე თათბირით მიიღო.

მსახიობ გიორგი გიორგანაშვილს ბრალი განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალებების შეძენა-შენახვისთვის წარუდგინეს. თავად ბრალდებული წარდგენილ ბრალს არ აღიარებს.

ბექა წიქარიშვილი და მსახიობი თორნიკე ბზიავა „წვრილმანი“ ხულიგნობისთვის დააკავეს!



თბილისის საქალაქო სასამართლოსთან „თეთრი ხმაურის“ ლიდერი ბექა წიქარიშვილი და მსახიობი თორნიკე ბზიავა დააკავეს. ვითარება მას შემდეგ დაიძაბა, რაც მოსამართლემ მსახიობ გიორგი გიორგანაშვილს 8 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. მოსამართლის გადაწყვეტილება გიორგანაშვილის მხარდამჭერებმა გააპროტესტეს. „თეთრი ხმაურის“ წევრმა ბექა წიქარიშვილმა სასამართლოს კარს აგური ესროლა. ჩამსხვრეულია კარის მინა. დაკავებულები სასამართლოს მანდატურმა სასამართლოს შენობაში შეიყვანა.

„ჭიშკრის იქით ვიჯექით, მოვიდნენ, მოგვათრიეს აქ და თორნიკე შეიყვანეს. არ ვიცი, შეურაცხყოფა მიაყენაო და... არ ვიცი, ვის მიაყენა შეურაცხყოფა“, — „განმარტა“ მსახიობმა კახა კინწურაშვილმა.

2022 წლისთვის საქართველო ალბანეთსა და ბოსნიაზე მდიდარი იქნება, ხოლო ბელარუსის დონეს მიუახლოვდება

4

ვაქებ ჭკუასა ბრძენთასა...

ასე ამბობდა ალბერტ აინშტაინი

6



კიდევ ერთი აღიარება

რუსეთმა შესაძლოა, „მტრული მოქმედებები“ დაიწყოს...

ბრიტანეთის გენერალური შტაბის ხელმძღვანელის გენერალ ნიკოლას კარტერის განცხადებით, რუსეთმა შესაძლაო მოულოდნელად „მტრული მოქმედებები“ დაიწყოს, რომელიც, სავარაუდოდ, **მიმართული იქნება ევროპული უსაფრთხოების ინფრასტრუქტურის წინააღმდეგ.** გენერალი ვარაუდობს, რომ რუსეთმა სირიაში არსებული ვითარება შესაძლოა, ესკალაციიის პოტენციალის გაზრდისთვის გამოიყენოს.

„ძალიან ბევრმა ოფიცერმა შესანიშნავი საომარი გამოცდილება შეიძინა. მათ გამოცადეს შორეული მოქმედების რადიუსის რაკეტები და 150-ზე მეტი სახეობის შეიარაღება. ისინი იყენებენ მულტიმოდელურ მიდგომას და როგორც ტრადიციულ ასევე ატომურ კომპონენტებს — გიბრიდულ ვარიანტებს, რომლის დროსაც შესაძლებელია პატარა მწვანე კაცუნების გამოყენება, დიდი მწვანე ტანკები და დიდი მწვანე რაკეტები“, — აცხადებს კარტერი.

მისივე თქმით, რუს სამხედროებს ესმით რომ „დემოგრაფია მათ მხარეს არ არის და ისინი ამუშავებენ სქემებს, რომლის დროსაც საჭიროა მცირედი ცოცხალი ძალა“.

პოროშენკოსთან შეხვედრაზე რუსეთის წინააღმდეგ სანქციებზე საუბარი ნამდვილად იყო

„ვადასტურებ, რომ პრეზიდენტ პოროშენკოსთან შეხვედრაზე ნამდვილად იყო რუსეთის წინააღმდეგ სანქციებზე საუბარი“, — ამის შესახებ ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ მამუკა მდინარაძემ განაცხადა. მდინარაძის შეფასებით, ამ საკითხზე ზოგადი პასუხის გაცემა არ შეიძლება, რადგან იქ არის ძალიან ბევრი დეტალი.

„ვადასტურებ, რომ პრეზიდენტ პოროშენკოსთან შეხვედრაზე ნამდვილად იყო ამაზე საუბარი. პოროშენკომ გაახმოვანა ასეთი თხოვნა თუ მოწოდება. ჩვენ გვყავს ერთ-ერთი ყველაზე ახლო მეგობარი, სტრატეგიული პარტნიორი ქვეყანა — უკრაინა, ჩვენი ქვეყანა ყოველთვის გამოხატავდა უკრაინის მიმართ მხარდაჭერას და ამ შემთხვევაშიც ეს იქნება მთავარი ხაზი ჩვენი გადაწყვეტილების. ამასთან დაკავშირებით იქნება მსჯელობა დეტალებზე. ამ საკითხზე ზოგადი პასუხის გაცემა არ შეიძლება, რადგან იქ არის ძალიან ბევრი დეტალი და ამ პათოსს აუცილებლად გავახმოვანებთ. უკრაინა ჩვენი მეგობარი ქვეყანაა და საქართველოს ყველა ლეგიტიმურ საკითხთან დაკავშირებით აქვს მხარდაჭერა, ამის სურვილიც და ეს გამოიხატა ყველა წინა გადაწყვეტილებაშიც“, — განაცხადა მდინარაძემ.

კახა კალაძე: არანაირი შესაძლებლობა არ მქონდა, რომ არ გამეცა მშენებლობის ნებართვა!

დედაქალაქის მერი ატენის ქუჩაზე მიმდინარე მშენებლობასთან დაკავშირებით კატეგორიულად აცხადებს, რომ მას არანაირი შესაძლებლობა არ ჰქონდა, მშენებლობის ნებართვა არ გაეცა.

„გულწრფელად გეტყვით, დღეს რომ ნულიდან იწყებოდეს ყველაფერი, ნებართვას არ გავცემდი. ამ კონკრეტულ ადგილზე 12 თუ 14 სართული უკვე აშენებულია. მთელი რიგი სასამართლო პროცესებია გამართული. სასამართლოს გადაწყვეტილებით, კოეფიციენტი, რომელიც მიღებული ჰქონდა 2011 წელს ამ სამშენებლო კომპანიას, დარჩა ძალაში. შესაბამისად, არანაირი შესაძლებლობა, არანაირი საბაბი არ მქონდა იმისა, რომ უარი მეთქვა და არ გამეცა მშენებლობის ნებართვა. მე ვემორჩილები კანონს და ვმოქმედებთ კანონის შესაბამისად, თუ მოხდება გასაჩივრება სასამართლოში, ეს იქ მცხოვრებ ადამიანებზეა დამოკიდებული. ეს კონკრეტული ქეისი თავიდან რომ იხსნებოდეს, ჩვენ გვაქვს ჩვენი მოსაზრება და ამ კონკრეტულ ადგილზე მშენებლობის ნებართვას არ გავცემდით, ამ კონკრეტული კოეფიციენტით.

ზონალური საბჭო შეიკრიბა, იმსჯელეს. ზონალური საბჭოს თითოეულმა წევრმა დადო დასკვნა, თუ რატომ არ იყო პრობლემა 8 კოეფიციენტი. შესაბამისად, მაშინდელმა მერმაც გამოსცა ბრძანება, რომ პროექტი გაგრძელებულიყო. ესეც გასაჩივრდა და სააპელაციო სასამართლომ გააბათილა ეს გასაჩივრება. მე ერთადერთი, რაც მქონდა დარჩენილი, იყო ის, რომ გამეცა ნებართვა. გარკვეული ტექნიკური ხასიათის ხარვეზები გამოვავლინეთ, რაც გასწორდა და შესაბამისად, გააგრძელეს მშენებლობა“, — განაცხადა კახა კალაძემ.

ადამიანის უფლებათა დაცვის ახალი დეპარტამენტი

შსს-მ დაგეგმილი რეფორმების განხორციელება, ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტის შექმნით დაიწყო, — ამის შესახებ შს მინისტრმა გიორგი გახარიამ განაცხადა.

„განვაცხადეთ და დავდეთ პირობა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემის რეფორმირება დაიწყება თანმიმდევრულად. დავთქვით კონკრეტული თარიღები. დღეს ვასრულებთ ამ დაპირებას, ზუსტად ერთი თვის თავზე წარვადგენთ ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტის პრეზენტაციას. ზუსტად ასევე , სხვა მიმართულებებით, სტრუქტურული რეფორმები და შინაარსობრივი ნაწილის რეფორმირება წარმოდგენილი იქნება უახლოეს მომავალში, როგორც დაგპირდით. სტრუქტურულ ნაწილში რეფორმირება შეეხება კრიმინალურ პოლიციას, საზღვრო პოლიციას და გაგრძელდება საპატრულო პოლიციით. ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ შინაარსობრივი ნაწილი რეფორმისა და რეფორმირების ჩვენთვის უფრო მნიშვნელოვანია. რომელიც ეხება საგამოძიებო ინსტიტუტების ხარისხის გაზრდას, ტექნოლოგიების დანერგვას, ინოვაციების შემოტანას საგამოძიებო კომპონენტში და, რა თქმა უნდა, პრევენციასა და ანალიზზე დაფუძნებულ პოლიციას.

ეს არის ძირითადი მიმართულებები, რომელზეც მუშაობა დაწყებულია. როგორც დღეს, ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტის წარდგენით დავიცავით ვადა, ისე დავიცავთ სხვა შემთხვევაშიც“, — აღნიშნა მინისტრმა ახალი დეპარტამენტის პრეზენტაციაზე.

„ჯაველინების“ სისტემა უკვე საქართველოშია

„ჯაველინების“ სისტემის შეძენის პირველი ეტაპი წარმატებით დასრულდა. საქართველოში „ჯაველინების“ სისტემა უსაფრთხო ადგილას არის განთავსებული“, — ამის შესახებ საქართველოს თავდაცვის მინისტრმა აშშ-ის ელჩთან შეხვედრის შემდეგ განაცხადა. ლევან იზორიას განცხადებით, ახლო მომავალში დაიწყება მომზადება, რათა ქართველმა სამხედრო მოსამსახურეებმა იმ უნარების დაუფლება შესძლონ, რაც ამ სისტემის გამოყენებისთვის არის აუცილებელი.

ლევან იზორიამ იან კელის თავდაცვის სამინისტროში უმასპინძლა. საუბარი შეეხო ასევე სტრატეგიულ პარტნიორთან ერთად თავდაცვის სფეროში ორმხრივი თანამშრომლობის ფარგლებში განხორციელებულ პროექტებს — საქართველოს თავდაცვის მზადყოფნის პროგრამის ამოქმედებასა და მომავალი თანამშრომლობის პერსპექტივებს. შეხვედრას თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე ლელა ჩიქოვანი, აშშ-ის თავდაცვის ატაშე, პოლკოვნიკი ჯეფრი ჰარტმანი, აშშ-ის საელჩოს წარმომადგენელი ჯეიმს მორისი და თავდაცვის სფეროში თანამშრომლობის ოფისის (ODC) ხელმძღვანელი, ვიცე-პოლკოვნიკი ჯონ მეიერსი დაესწრნენ.

უზბეკეთსა და საქართველოს შორის შესაძლოა, პირდაპირი ავიარეისები დაინიშნოს

უზბეკეთსა და საქართველოს შორის შესაძლოა, პირდაპირი ავიარეისები დაინიშნოს, აღნიშნულის შესახებ განცხადება საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ საქართველო-უზბეკეთის საპარლამენტთაშორისო თანამშრომლობის მემორანდუმის ხელმოწერის შემდეგ **განაცხადა.** როგორც ირაკლი კობახიძემ განმარტა, მემორანდუმი ორი ქვეყნის პარლამენტებს შორის მჭიდრო თანამშრომლობას ითვალისწინებს, უზბეკეთის პრემიერ-მინისტრთან შეხვედრისას ორ ქვეყანას შორის ეკონომიკური თანამშრომლობის გაღრმავებაზეც ისაუბრეს, სადაც გამოიკვეთა ძალიან სერიოზული პერსპექტივა სხვადასხვა მიმართულებით, მათ შორის, რა თქმა უნდა, სავაჭრო მიმართულებით და ტურიზმის მიმართულებით.

„საუბარი გვქონდა, ასევე პირდაპირ ფრენებზე უზბეკეთსა და საქართველოს შორის. ჩვენ ვფიქრობთ, რომ არის ძალიან დიდი პერსპექტივა ჩვენი ეკონომიკური თანამშრომლობის გაღრმავების და ამაზე ძალიან აქტიურად ვიმუშავებთ საქართველოს მთავრობასთან ერთად“, — განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

ტერორიზმის დაფინანსების ბრალდებით დაკავებული ბერძენიშვილი თემირლან მაჩალიკაშვილს ისნობდა?!

ტერორიზმის დაფინანსების ბრალდებით სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა **კიდევ ერთი პირი გუშინ დააკავა.** ბერძენიშვილი გვიან ღამით სახაზინო ადვოკატმა მოინახულა. ელდარ გვალია ამბობს რომ მისი დაცვის ქვეშ მყოფი ამ დრომდე დუმილის უფლებას იყენებს.

„რას ედავება სპეცსამსახური ჩემთვის უცნობია. დაკავების საფუძველი, სავარაუდოდ, არის ის, რომ მას თურმე კავშირები ჰქონდა ტერორისტებთან. კონკრეტულად ვისთან, არ ვიცით. იყენებს მისთვის კანონით მინიჭებული დუმილის უფლებას. არ აღიარებს არანაირ კავშირს. მაჩალიკაშვილთან დაკავშირებით, რამდენადაც მახსოვს, ნაცნობობა დააკავშირა მხოლოდ და სხვებთან, მათ შორის სპეცოპერაციის დროს გარდაცვლილ პირებთან დაკავშირებით მას ჩემთვის არაფერი არ უთქვამს,“ — განაცხადა ადვოკატმა ელდარ გვალიამ. სუსის ინფორმაციით, გამოძიების ამ ეტაპზე დადგენილია, რომ დაკავებული ანატოლი ბერძენიშვილი ახმედ ჩატაევისა და მისი დაჯგუფების წევრების დასახმარებლად თურქეთში ჩავიდა. დაკავებულმა ზურაბ გორნაკაშვილთან და ზურაბ იდოიძესთან ერთად ახმედ ჩატაევსა და მისი დაჯგუფების წევრებს დახმარება გაუწია თურქეთ-საქართველოს საზღვართან, კირნათი-მარადიდის მწვანე ზოლის მონაკვეთამდე გადაადგილებაში.

ბათუმში სადაზღვევო კომპანია „უნისონთან“ გარდაცვლილი მუშების ოჯახის წევრებმა აქცია გამართეს

აქციის მონაწილეების განცხადებით, 2017 წლის 8 სექტემბერს მშენებლობისას გარდაცვლილ მუშებს სადაზღვეო პოლისები ჰქონდათ, რომლის თანახმადაც ოჯახებს 100 ათასი დოლარი უნდა გადასცემოდათ. „უნისონის“ წარმომადგენლები გარდაცვლილი მუშების ოჯახებს სასამართლოსთვის მიმართვისკენ მოუწოდებენ და აცხადებენ, რომ მომხდარზე პასუხისმგებელი მშენებარე კომპანია „მეტრო ბეტონია“, რადგან თანხა დროულად არ ჩარიცხა და სახელშეკრულებო პირობები დაარღვია...

შეგახსენებთ, 2017 წლის 8 სექტემბერს, მშენებლობისას ორი მუშა დაიღუპა. სამუშაოებს კომპანია „მეტრო ბეტონი“ აწარმოებდა.

„ადამიანური კომედია“ თუ... საქართველოს ტრაგედია?!

გამქრალი ოცნებები... არაბალზაკისეულად

2017 წელს საქართველოს ეკონომიკა, წინასწარი შეფასებით, 4.7 პროცენტით გაიზარდა. გაიზარდა საშუალო ხელფასის სიდიდე, უცხოური ინვესტიციების მოცულობა, განსაკუთრებით შთამბეჭდავი იყო ექსპორტის 29-პროცენტიანი ზრდა, საბიუჯეტო ხარჯების სიდიდემ 10.5 მილიარდ ლარს გადააჭარბა; 2018 წელს, 2017 წელთან შედარებით, საბიუჯეტო ხარჯები კიდევ დაახლოებით ერთი მილიარდი ლარით გაიზრდება. ამჟამად, ერთი მილიარდი ლარის დამატებული ღირებულების წარმოებას სჭირდება მხოლოდ 13 დღე, მაშინ როდესაც 2003 წელს სჭირდებოდა 31 დღე. მსოფლიო ბანკის პროგნოზებით, 2018-2020 წლებში საქართველო ეკონომიკური ზრდის ტემპებით რეგიონის ლიდერი იქნება.

მიუხედავად ამგვარი ოპტიმისტური, იმედის მომცემი მონაცემებისა, საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი სუსტად ან საერთოდ ვერ გრძნობს ეკონომიკური ზრდის პოზიტიურ გავლენას საკუთარ კეთილდღეობაზე, ძალიან ბევრი შინამეურნეობებისთვის მათი მატერიალური მდგომარეობა და სტატისტიკის ეროვნული სამსახურის დამაიმედებელი მონაცემები თითქოს პარალელურ დროსა და სივრცეში არსებობენ. **– საქართველოში ზღვრულ, დასაშვებ ნორმაზე ორჯერ უფრო მაღალია მოსახლეობის საშემოსავლო და ქონებრივი დიფერენციაცია, მოსახლეობის ნახევარი იმყოფება რეალური სიღარიბის ზღვარს მიღმა ან ამ ზღვართან სარისკო სიახლოვის ზონაში;** კვლავ მაღალი რჩება შრომითი მიგრაცია, ეცემა შობადობა, მოსახლეობის დაბერებისა და დეპოპულაციის პროცესი, რომელიც ბოლო დრომდე, ფაქტობრივად, მხოლოდ საქართველოს მაღალმთიან რეგიონებს ეხებოდა, ამჟამად მთელი ქვეყნის მასშტაბით უკვე შეუიარაღებელი თვალითაც შეინიშნება. დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ საქართველოს მოსახლეობა შემცირდა თითქმის 1.8 მილიონით, რომელთა 3/5-ზე მეტი - ეთნიკური ქართველია. ასეთ ფონზე ეკონომიკაში მიღწეული ცალკეული სახის წარმატებები უფრო სეგმენტური, სექტორალური და არა სისტემური ხასიათისაა და სუსტად კონვერტირდება საერთო სახელმწიფოებრივ და ეროვნული წარმატების ცნებაში.

საქართველოს **სოფლის მეურნეობა** რჩება ქვეყნის ეკონომიკის ყველაზე სუსტ რგოლად. **ამ დარგში შრომის მწარმოებლურობა საქართველოს ეკონომიკის სხვა დარგებში არსებულ მწარმოებლურობას თითქმის ათჯერ, ხოლო მოწინავე ინდუსტრიულ ქვეყნებს – თითქმის მთელი ერთი ისტორიული ტექნოლოგიური ეპოქით ჩამორჩება. მიუხედავად ბოლო წლებში მიღწეული წარმატებებისა, საქართველო მაინც სასურსათო საქონლის მსხვილ იმპორტიორ ქვეყნად რჩება** – 2017 წელს ქვეყანაში შემოტანილ იქნა თითქმის 1.2 მილიარდი აშშ დოლარის აგროსასურსათო პროდუქცია – 400 მილიონი დოლარით მეტი მის ექსპორტთან შედარებით.

მიუხედავად იმისა, რომ ამ დარგზე მოდის ქვეყნაში დასაქმებულთა საერთო რაოდენობის თითქმის 45 პროცენტი, იქმნება მთლიანი შიდა პროდუქტის 9 პროცენტზე მეტი, ბოლო ათი წლის მანძილზე პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ აგრარულ სექტორში მხოლოდ 130 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა – მთელი ინვესტიციების მხოლოდ ერთი პროცენტი. შედარებისთვის უცხოურმა ინვესტორებმა საქართველოს უძრავ ქონებაში დაბანდეს ათჯერ მეტი თანხა – თითქმის 1 300 მილიონი აშშ დოლარი. **უცხოური ინვესტორები ქვეყნის უმთავრეს ეროვნულ სიმდიდრესა და მონაპოვარს – მიწას – სულ უფრო მეტად განიხილავენ არა იმდენად როგორც აგრარული წარმოების ობიექტს, რამდენადაც საქართველოში დამკვიდრების საშუალებას,** აქედან გამომდინარე, ყველა სოციალური, დემოგრაფიული, ეთნიკური და სხვა სახის გრძელვადიანი შედეგებით.

2017 წელს უცხოეთიდან საქართველოში განხორციელებულმა **ფულადმა გზავნილებმა** 1.4 მილიარდ აშშ დოლარს მიაღწია, რაც საქართველოდან განხორციელებული ყველა სახის საქონლო ექსპორტის ნახევარზე მეტია (50.6%). ის, რომ აღნიშნული თანაფარდობა 2000 წლის შემდეგ 2.5-ჯერ გაიზარდა, მიანიშნებს საქართველოდან შეუჩერებელი მიგრაციის მასშტაბებზე და იმაზე, რომ **საქართველოს ექსპორტის ყველაზე „რენტაბელური“ და „ეფექტიანი“ სტატია სამუშაო ძალის ექსპორტია.**

შედარებისათვის: **საზღვარგარეთიდან ჩვენი შრომითი მიგრანტების მიერ სამშობლოში გადმოგზავნილი სახსრების მოცულობა 8-ჯერ აღემატება ქართული ღვინისა და საერთოდ, ყველა სახის ალკოჰოლური სასმელების ექსპორტის ღირებულებას.**

საქართველოს მოსახლეობის ერთ სულზე ქვეყანაში საზღვარგარეთიდან განხორციელებული ფულადი გზავნილები თითქმის 370 დოლარს აღწევს, რაც საშუალო მსოფლიო მაჩვენებელს 4.6-ჯერ აღემატება, ხოლო ასეთი ფულადი გზავნილების თანაფარდობა შინამეურნეობათა ფულადი სახსრების 30 პროცენტს აღწევს.

უმძიმესია დემოგრაფიული მდგომარეობა. მოსახლეობის ბუნებრივმა მატებამ 2017 წლის პირველ ნახევარში, პირველად დამოუკიდებლობის აღდგენიდან გავლილი 27 წლის მანძილზე, მიიღო უარყოფითი სალდო – გარდაცვლილთა რაოდენობამ გადააჭარბა დაბადებულთა რაოდენობას. მართალია, ეს არ არის მხოლოდ ერთი, 2017 წლის შედეგი, მაგრამ მასში აისახება ქვეყნის საერთო ეკონომიკური მდგომარეობა, მოსახლეობის განწყობილება და მოლოდინები. მოსახლეობის მედიანური ასაკით (38 წელი) საქართველო აღემატება სომხეთის ანალოგიურ მაჩვენებელს 6 წლით, აზერბაიჯანს – 9 წლით, თურქეთს – 10 წლით. საქართველო ყოველ 100 საპენსიო ასაკის მცხოვრებზე ბავშვების რაოდენობით ჩამორჩება: სომხეთს – 1.8-ჯერ, აზერბაიჯანს - 3.0-ჯერ, თურქეთს – 4.0-ჯერ.

გასულ წელს საკონსტიტუციო პროექტის განხილვისას მმართველმა ძალამ არ ჩათვალა მიზანშეწონილად ქვეყნის ძირითადი კანონიდან იმ პუნქტის ამოღება, რომელიც კრძალავს გადასახადების განაკვეთის ზრდას ან ახალი გადასახადების შემოღებას საყოველთაო რეფერენდუმზე მოსახლეობის მხარდაჭერის გარეშე, თუმცა, კონსტიტუციის მიღებიდან მალევე, ერთიმეორის მიყოლებით, გაძვირდა ელექტროენერგია (დაახლოებით 12 პროცენტით) და წყალი (დაახლოებით 24 პროცენტით). ამის გამო **საშუალო, ოთხსულიან ოჯახს 2018 წლიდან დასახელებული კომუნალური ხარჯების ყოველთვიური გადასახადი დაახლოებით 12 ლარით გაეზრდებათ.**

მიუხედავად იმისა, რომ 2017 წელს ადგილი ჰქონდა ექსპორტის საგრძნობ ზრდას (29.1%-ით), **ექსპორტით იმპორტის გადაფარვა საარაკოდ დაბალია** – იგი მხოლოდ 34.2 პროცენტის დონეზეა. ეს ყველაზე დაბალი მაჩვენებელია ჩვენი რეგიონის ქვეყნებს შორის. ჩვენს ორ მეზობელ, ენერგოექსპორტიორ ქვეყანას (აზერბაიჯანი, რუსეთი) ექსპორტით იმპორტის გადაფარვა 100 პროცენტზე მაღალი, ხოლო დანარჩენ ორს (სომხეთი, თურქეთი) საქართველოსთან შედარებით – თითქმის 2-ჯერ უკეთესი (შესაბამისად, 64% და 76%) მაჩვენებელი აქვთ. ასევე, საქართველოს საგანგაშოდ დიდი **უარყოფითი** საგადამხდელო ბალანსი აქვს (მიმდინარე ანგარიშის უარყოფითი სალდოს თანაფარდობა მშპ-სთან 10 პროცენტს აღემატება), მაშინ როდესაც აზერბაიჯანსა და რუსეთს **დადებითი** სალდო აქვთ, თურქეთს – 4.4 პროცენტი, ხოლო სომხეთს – მხოლოდ – 2.5 პროცენტი. აღნიშნული მაჩვენებლით საქართველოზე უარესი მდგომარეობა პოსტსაბჭოთა სივრცეში მხოლოდ ყირგიზეთს (-15%), ხოლო ევროპის 40 ქვეყნიდან – მხოლოდ ალბანეთს (-13.3%) აქვთ.

ბოლო დრომდე ხელისუფლება თავს იწონებდა სოციალური პოლიტიკით, თუმცა, ერთი მხრივ, სოციალური ხარჯების წილის შემცირებამ საბიუჯეტო ხარჯებში და მეორე მხრივ, კომუნალური გადასახადების ზრდამ, სერიოზული დარტყმა მიაყენა აქეთ მოსახლეობის კეთილდღეობას და იქეთ – ხელისუფლების რეპუტაციას. 2018 წლის ბიუჯეტში, პირველად „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, გაზრდის ნაცვლად შემცირდა სოციალური ხარჯების წილი 2 პუნქტით – 47-დან 45 პროცენტამდე.

2018 წელს, 2017 წლის პროპორციების შენარჩუნების შემთხვევაში, საბიუჯეტო სოციალური ხარჯები (განათლება, ჯანდაცვა, საპენსიო უზრუნველყოფა) თითქმის 220 მილიონით მეტი იქნებოდა. ეს თანხა საკმარისია ერთი წლის მანძილზე პენსიონერთა ყოველთვიური პენსიის დაახლოებით 25 ლარით გაზრდისათვის.

ცნობისათვის: ქვეყნის მშპ 2017 წელს გაიზარდა 3.8 მილიარდი ლარით, ბიუჯეტში სახსრების აკუმულირება – 800 მილიონი ლარით, ბიუჯეტის შემოსავლების გეგმა 130 მილიონი ლარის გადაჭარბებით შესრულდა, თუმცა ამდენი მატებიდან 90 მილიონი ლარი მაინც ვერ გამოიძებნა ყოველთვიური პენსიების 10-10 ლარით მომატებისთვის. ნომინალური პენსიების უცვლელობისა და სამომხმარებლო ფასების მატების გამო **პენსიის მყიდველობითი უნარიანობა 2017 წელს 2016 წელთან შედარებით უკვე შემცირდა 8 პროცენტით, ხოლო 2018 წლის ბიუჯეტში შესაბამისი სახსრების გაუთვალისწინებლობის გამო კიდევ დაახლოებით 6 პროცენტით შემცირდება. სხვაგვარად რომ ვთქვათ, 2018 წელს 180-ლარიანი პენსია თავისი მყიდველობითი უნარიანობით, ყველაზე ოპტიმისტური გათვლებით, 2016 წლის 155 ლარის ეკვივალენტური იქნება!.**

2017 წელს მოსახლეობის ფულადი სახსრების ზრდა აშკარად ჩამორჩებოდა ოფიციალური ინფლაციის მაჩვენებელს. ამასთან, თვით ოფიციალური სტატისტიკური მონაცემებითაც კი **ბოლო ერთი წლის მანძილზე საარსებო მინიმუმი დაახლოებით 1.3-ჯერ უფრო მეტად გაიზარდა ინფლაციასთან შედარებით.** ეს ნიშნავს, რომ ფასების საშუალო მატებასთან შედარებით, გაცილებით სწრაფად იზრდებოდა პირველადი მოხმარების საქონლის ფასები. აღნიშნულის გამო ფასების ზრდა განსაკუთრებით ურტყამდა დაბალ და ფიქსირებულ შემოსავლიან მოსახლეობას, ამ კატეგორიის მოსახლეობისთვის ინფლაციის დონე გაცილებით მაღალი იყო ინფლაციის ოფიციალურ დონესთან შედარებით.

საქართველოს მოსახლეობისათვის სხვადასხვა გამოკვლევით მთავარ ეგზისტენციურ პრობლემას **უმუშევრობა** წარმოადგენს. ოფიციალური უმუშევრობის დონე 12 პროცენტსაა ჩამომცდარი, თუმცა სხვადასხვა გამოკვლევით, რეალური უმუშევრობა არანაკლებ 30 პროცენტია. 2017 წელს, წინა წელთან შედარებით, ოფიციალური სტატისტიკითაც კი ბიზნეს-სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა შემცირდა 40.1 ათასით (6.0%-ით), მათ შორის დაქირავებით დასაქმებულთა რაოდენობა – 26.6 ათასით (4.3%-ით), რაც აშკარად უკან გადადგმული ნაბიჯია და კიდევ უფრო ამწვავებს მოსახლეობის მატერიალურ მდგომარეობას, ზრდის შრომისუნარიანი მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილში შრომით ემიგრაციაში წასვლის მოტივაციას.

მაღალია **სახელფასო** დიფერენცირება და დასაქმებულთა ნახევრის საშუალო ხელფასი 400 ლარს არ აღემატება. თვით ხელფასის წლიური ფონდის თანაფარდობა მშპ-სთან მხოლოდ 25 პროცენტია, რაც საშუალო ევროპულ დონეს (40%) 15 პუნქტით ჩამორჩება. **საქართველოს ყოველი მეორე შინამეურნეობა დარჩენილია ხელფასის ტიპის შემოსავლების გარეშე.** შრომის ანაზღაურების დონე განათლების სფეროში, მიუხედავად რამდენადმე გაუმჯობესებისა, მაინც მნიშვნელოვნად ჩამორჩება ქვეყანაში ხელფასის საშუალო დონეს. ეს განსაკუთრებით თვალში საცემია სომხეთისა (72%) და აზერბაიჯანის (84%) ანალოგიური მაჩვენებლების ფონზე.

უმძიმესია **დემოგრაფიული მდგომარეობა.** მოსახლეობის ბუნებრივმა მატებამ 2017 წლის პირველ ნახევარში, **პირველად დამოუკიდებლობის აღდგენიდან გავლილი 27 წლის მანძილზე,** მიიღო უარყოფითი სალდო – გარდაცვლილთა რაოდენობამ გადააჭარბა დაბადებულთა რაოდენობას. მართალია, ეს არ არის მხოლოდ ერთი, 2017 წლის შედეგი, მაგრამ მასში აისახება ქვეყნის საერთო ეკონომიკური მდგომარეობა, მოსახლეობის განწყობილება და მოლოდინები. მოსახლეობის მედიანური ასაკით (38 წელი) საქართველო აღემატება სომხეთის ანალოგიურ მაჩვენებელს 6 წლით, აზერბაიჯანს – 9 წლით, თურქეთს - 10 წლით. **საქართველო ყოველ 100 საპენსიო ასაკის მცხოვრებზე ბავშვების რაოდენობით ჩამორჩება: სომხეთს – 1.8-ჯერ, აზერბაიჯანს - 3.0-ჯერ, თურქეთს – 4.0-ჯერ.**

2017 წელს საუბარი „ინკლუზიურ ეკონომიკაზე“ ჯერჯერობით უმეტესად სიტყვის მასალად რჩებოდა და არა პრაქტიკული მოქმედების პროგრამად. სახელმწიფო ბიუჯეტში სოციალური ხარჯების წილის შემცირებისა და ინფრასტრუქტურული პროექტების წილის, მათ შორის მსხვილი პროექტების დაფინანსების გაზრდაზე პოლიტიკური გადაწყვეტილების გამო, ის პირობითად, „მემარჯვენე გარდატეხის“ წლადაც კი შეიძლება მოვნათლოთ. ამიტომაც, **2017 წელს, პოსტ-საკაშვილისეული ეპოქის მეხუთე წელს, ბევრ შინამეურნეობას მდგომარეობის გაუმჯობესებაზე ოცნებებიც გაუქრა და ოცნების სურვილიც.**

ოდესღაც სსრკ-ს, მისი ეკონომიკური ჩამორჩენილობის გამო, უწოდებდნენ **„ზემო ვოლტას** (ბურკინა-ფასოს სახელწოდება 1984 წლამდე) **ბირთვული კომბალით“.** საქართველოს, თავისი ამჟამინდელი სოციალურ-ეკონომიკური და დემოგრაფიული მდგომარეობის გათვალისწინებით შეიძლება ვუწოდოთ **აფრიკული ცხოვრების დონისა** (მისი მშპ ერთ სულზე ოფიციალურად მსოფლიო ქვეყნების რეიტინგ-ლისტში „სადღაც“ მეორე ასეულში, ნამიბიასა და სვაზილენდს შორის მდებარეობს) და **მოსახლეობის ევროპული ბუნებრივი მატების მქონე ქვეყანა.**

ფრანგი რომანისტის ონორე დე ბალზაკის „ადამიანური კომედიაში“ ერთ-ერთ გამორჩეულ ნაწარმოებს „გამქრალი ოცნებები“ ჰქვია. მოქმედება ნაპოლეონის შემდეგდროინდელ საფრანგეთში, რესტავრაციის პერიოდში ხდება. საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილის ამჟამინდელი გამქრალი ოცნებები კი თანამედროვე, ოცდამეერთე საუკუნის „ადამიანური კომედია“ კი არა, ტრაგედიაა. მით უფრო, როდესაც თანამედროვე რასტინიაკებს საზოგადოებაშიც და ხელისუფლებაშიც შეუდარებლად უფრო მაღალი მაზანდა აქვთ, ვიდრე ბალზაკისეული პროფესიის, ნიჭისა და კალიბრის სიტყვის დიდოსტატებს...

იოსებ არჩვაძე

2018 წლის იანვარი

გადავრჩებით?!

საქართველოს საფრთხეები: ნატოსა და ევროკავშირის გაცხადებული პოლიტიკა

ნატოსა და ევროკავშირში საქართველოს გასაწევრიანებლად ქვეყნის თანმიმდევრული და მიზანმიმართული სტრატეგიის საჭიროებაზე ლაპარაკობენ სპეციალისტები, რომლებიც, ბოლო წლებია, ინტეგრაციის თემაზე აქტიურად მუშაობენ. მსჯელობის საგანია ქვეყნის რეგიონალური იდენტობა და საქართველოსადმი ნატოსა და ევროკავშირის გაცხადებული პოლიტიკა. საქართველოს ატლანტიკური საბჭოს თავმჯდომარის დავით სიხარულიძის, შეფასებით, ქვეყანამ მეტი ძალიხმევა უნდა გასწიოს ევროატლანტიკური ინტეგრაციისთვის და ხელისუფლების გზავნილები უნდა იყოს მეტად მკაფიო, რადგან საერთაშორისო ურთიერთობებში მორიდება და ბუნდოვანება მომგებიანი პოზიცია არ არის.

დავით სიხარულიძისავე განცხადებით, ნატოში საქართველოს გაწევრიანება ორმხრივი დღის წესრიგის მთავარი საკითხი უნდა იყოს ალიანსის წევრ ყველა სახელმწიფოსთან, მათ შორის სკეპტიკურად განწყობილ ისეთ ქვეყანასთან, როგორიც გერმანიაა. დავით სიხარულიძის თქმით, საერთაშორისო ურთიერთობებში მნიშვნელოვანია ამერიკის შეერთებული შტატების სტრატეგიული ხედვა და მისი მხარდაჭერის ერთგვარი გამოვლინებაა საქართველოსთვის ანტისატანკო სისტემაზე, ჯაველინზე, ხელმისაწვდომობის გაზრდა. ატლანტიკური საბჭოს ხელმძღვანელის აზრით, დონალდ ტრამპის ადმინისტრაციის პირობებში საქართველოს მეტი შანსი აქვს პროგრესი განიცადოს ნატოში გაწევრიანების გზაზე:

ისტორიულმა დინამიკამ მოიყვანა პროცესები ისე, რომ ჩვენ აღმოვჩნდით ეპიცენტრში ახალი გეოპოლიტიკური წესრიგის, რომელიც ახლა ყალიბდება...

„აშშ-ის დღევანდელი კონგრესის პოზიცია ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან უკვე გვაქვს ძალიან სერიოზული საკანონმდებლო სანქციები რუსეთის წინააღმდეგ, რომლის ნაწილიც არის საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციის საკითხი. ხუთი მიზეზია ჩამოთვლილი, თუ რის გამოა შემოღებული სანქციები და მათ შორის არის საქართველოს ტერიტორიების ოკუპაცია. ასევე არის სხვა საკანონმდებლო ნაბიჯები გადადგმული, რომლებიც, ვფიქრობ, რომ კარგად ასახავს კონტურებს, თუ რა იქნება საერთაშორისო პოლიტიკა ტრამპის ადმინისტრაციის პირობებში. მე ვფიქრობ, რომ პროგრესისთვის სერიოზული შანსი გვაქვს“.

მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების გათვალისწინებით, საქართველოსთვის ისტორიული შანსის გაჩენის შესაძლებლობაზე ლაპარაკობს ატლანტიკური საბჭოს ვიცე-პრეზიდენტი ბათუ ქუთელიაც. მისი განცხადებით, აუცილებელია საქართველო განიხილებოდეს შავი ზღვის აუზის ქვეყნებს შორის და არა როგორც პოსტსაბჭოთა ქვეყანა. ბათუ ქუთელიას აზრით, 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ, დასავლეთის სახელმწიფოებს თითქმის 8 წელი დასჭირდათ, რომ რეალურად გაეაზრებინათ რუსეთის აგრესიული და არალიბერალური პოლიტიკა და მისი შედეგები და 2016 წლის ვარშავის სამიტზე ნატოსთვის მთავარ საფრთხეებად მიიჩნიეს ექსტრემისტული დაჯგუფება „ისლამური სახელმწიფო“ და რუსეთი:

„ისტორიულმა დინამიკამ მოიყვანა პროცესები ისე, რომ ჩვენ აღმოვჩნდით ეპიცენტრში ახალი გეოპოლიტიკური წესრიგის, რომელიც ახლა ყალიბდება. შესაბამისად, იმისთვის, რომ ეს მომენტი ჩვენ მაქსიმალურად გამოვიყენოთ, ბუნებრივია, კარგად უნდა გავიგოთ, რა ხდება შავ ზღვაზე, თუ რატომ არის ეს ასეთი მნიშვნელობის ნატოსთვის, ევროპის ქვეყნებისთვის და ჩვენ რა უნდა მივიღოთ აქედან. დღეს პროპაგანდისტული მანქანებისთვის მთავარი ამოცანა და სამიზნე არის საზოგადოებრივი აზრის და კონსენსუსის ეროზია, იმიტომ, რომ დანარჩენი ტექნიკურად იოლი შესასრულებელია იმისთვის, რომ ჩვენ გადავუხვიოთ ჩვენს არჩევანს. ეს დაპირისპირება დასავლეთსა და რუსეთს შორის ევროპულ განზომილებაში გადმოვიდა შავ ზღვაზე“.

ევროკავშირი ბოლო 20-25 წლის განმავლობაში ცდილობდა და მილიონობით ევრო მიმართა იმისათვის, რომ სამხრეთ კავკასია შემდგარიყო, როგორც ერთიანი რეგიონი, დაახლოებით ისეთი მოდელით, როგორც იყო ბალტიისპირეთი. რეალურად ეს ვერ შედგა სხვადასხვა მიზეზის გამო, ერთი — მიმდინარე კონფლიქტი ყარაბაღში, ჩვენი კონფლიქტები აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში...

ბათუ ქუთელიას ინფორმაციით, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ევროკავშირის ქვეყნებში რუსული პროპაგანდის შესაჩერებლად გარკვეული ქმედებები უკვე დაიწყეს. თავის მხრივ, რუსეთი დიდ თანხას ხარჯავს იმისთვის, რომ მსოფლიოში ნომერ პირველ საფრთხედ აღქმული იყოს არა რუსული პროპაგანდა, არამედ ტერორიზმი. ბათუ ქუთელიასავე აზრით, შავ ზღვაზე რუსეთის გაფართოება ემსახურება მის სტრატეგიულ ინტერესებს, რომელთა შორისაა დასავლეთის გაფართოების შეჩერება, ენერგეტიკულ და სატრანსპორტო დერეფანზე კონტროლის მოპოვება და ენერგეტიკულ რესურსებზე წვდომის გაზრდა. საქართველო კი სტრატეგიული მდებარეობის გამო ყველა ამ კომპონენტში მთავარი ქვეყანაა.

საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტის ხელმძღვანელი **კორნელი კაკაჩია** მიიჩნევს, რომ, ქვეყნის გარეთ მიმდინარე პოლიტიკური პროცესების პარალელურად, აუცილებელია საქართველოს ჩამოუყალიბდეს იდენტობა, რადგან ამ დრომდე ის ძირითადად მოიაზრება როგორც პოსტსაბჭოთა ქვეყანა ან სამხრეთ კავკასია. კორნელი კაკაჩიას აზრით, ბოლო პერიოდში გაჩნდა ტენდენცია, რომ საქართველო ჩამოყალიბდეს შავი ზღვის აუზის ქვეყნად:

ზოგადად, ევროკავშირის პრობლემა არის ის, რომ ის მუშაობს კონსენსუსის პრინციპით. განსაკუთრებით, როცა საკითხი ეხება გაწევრიანებას, გადაწყვეტილებას ყველა წევრი სახელმწიფო უნდა დაეთანხმოს...

„ფონდ ღია საზოგადოება საქართველოს“ ევროინტეგრაციის პროგრამის მენეჯერის **ივანე ჩხიკვაძის**, შეფასებით, საქართველოს ევროპულ ინტეგრაციაზე საუბრისას აუცილებელია მთავრობამ და მოქალაქეებმა გაიაზრონ ამჟამინდელი მდგომარეობა და დაფიქრდნენ სამომავლო პერსპექტივებზე. ივანე ჩხიკვაძის განცხადებით, ამ დრომდე უპასუხოდ რჩება შეკითხვა, თუ როდის გაიხსნება ფანჯარა საქართველოსთვის ევროკავშირში გასაწევრიანებლად:

საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაციის საკითხებზე მომუშავე სპეციალისტების აზრით, ქვეყნის მთავრობამ და მოსახლეობამ ერთობლივად უნდა გაიაზრონ თანამედროვე გამოწვევები და ნატოსა და ევროკავშირში გასაწევრიანებლად სამომავლო პერსპექტივებზე იზრუნონ.

თამთა კაჭკაჭიშვილი

◎ საავალუტო ფონდის პროგნოზი

2022 წლისთვის საქართველო ალბანეთსა და ბოსნიაზე მდიდარი იქნება, ხოლო ბელარუსის დონეს მიუახლოვდება

საერთაშორისო **სავალუტო ფონდის შეფასებით, 2018 წელს საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე 4 ათას 529 აშშ დოლარამდე გაიზრდება, რაც სსფ-ს ინფორმაციით, დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიული მაქსიმუმია.**

თუ საბჭოთა კავშირში პოპულარული იყო ამერიკის დაწევა და გადასწრება, დღეისათვის ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მიზანი ევროპის ცხოვრების საშუალო დონის მიღწევაა. თუმცა, მანამდე პირველ რიგში აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები უფრო ხელშესახებ დისტანციაზე არიან. მათ შორის აღსანიშნავია ბალტიის ქვეყნები და ბელარუსი, რომლებმაც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ ბევრად მდიდარი ეკონომიკა ააშენეს, ვიდრე ჩვენ. დღეისათვის საქართველო ბევრ პოსტსაბჭოთა ქვეყანასაც ჩამორჩება ცხოვრების დონით. ჩვენზე უკან სომხეთი, მოლდოვა, ყირგიზეთი, ტაჯიკეთი, უზბეკეთი, აზერბაიჯანი და უკრაინაა.

სავალუტო ფონდის მომდევნო 4 წლის პროგნოზის თანახმად, 2022 წლისათვის საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ სულზე 6 259 აშშ დოლარამდე გაიზრდება და ამ მაჩვენებლით 2022 წელს უკვე გადაუსწრებს ევროპის ორ, ე.წ. განვითარებად ქვეყანასაც — ალბანეთს (6 206 დოლარი) და ბოსნია-ჰერცოგოვინას (5 833დოლარი), ამასთან, 12%-იანი სხვაობით მიუახლოვდება ბელარუსს (6 986 დოლარი) და 17.7%-იანი სხვაობით — მაკედონიას (7 369.5 დოლარი).

ქვეყნის ეკონომიკური განვითარების, სიმდიდრის შეფასების ერთ-ერთი მეთოდია ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი შიდა პროდუქტის დათვლა. თუმცა, უფრო ზუსტ მაჩვენებლად ე.წ. PPP-ს მეთოდი მიიჩნევა. ქვეყნების ეკონომიკების შეფასებისას იყენებენ მსყიდველუნარიანობის გათანაბრების სპეციალურ მეთოდს ანუ PPP-ს (purchase power parity). გათანაბრების შემდეგ საქონლისა და მომსახურების ფასები ყველა ქვეყანაში უნიფიცირებული ხდება, რაც ამ ქვეყნების მონეტარული პოტენციალის უკეთ შეფასების საშუალებას იძლევა. სავალუტო ფონდის მონაცემებით, საქართველოსთვის ასე დათვლილი მშპ ერთ სულზე 2017 წელს დაახლოებით 10,644 დოლარია, ამ გათანაბრების გარეშე კი ეს მაჩვენებელი 4,123 დოლარია.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის მონაცემებით, 2017 წლის მდგომარეობით ყველაზე მდიდარი პოსტსაბჭოთა ქვეყანა ლიტვაა, რომლის მშპ ერთ მოსახლეზე (PPP) 31,935 დოლარია. საქართველო ლიტვასთან შედარებით სამჯერ ღარიბია და მისი მშპ ერთ მოსახლეზე 10,644 დოლარს შეადგენს. საქართველო სიმდიდრით მხოლოდ 6 პოსტსაბჭოთა ქვეყანას ასწრებს, ესენია: უკრაინა, სომხეთი, ყირგიზეთი, მოლდოვა, ტაჯიკეთი და უზბეკეთი. ყველაზე ღარიბი პოსტსაბჭოთა ქვეყანა ტაჯიკეთია, რომლის მშპ ერთ მოსახლეზეც 3,131 დოლარია.

აღსანიშნავია, რომ იმ ეკონომიკური ზრდით, რაც 2013-2016 წლებში საქართველოს ჰქონდა, ანუ საშუალოდ 3.4%-ით, საქართველოს დღევანდელი ლიტვის სიმდიდრის დონეზე მისასვლელად 30 წელზე მეტი დაჭირდება.

* * *

Global Finance-მა მსოფლიოს ყველაზე მდიდარი ქვეყნების სია შეადგინა. გამოცემამ ქვეყნების სიმდიდრე ერთ სულ მოსახლეზე საშუალო წლიური შემოსავლით და ფულის მსყიდველობითი უნარის (PPP) გათვალისწინებით გამოთვალა. საქართველო ამ რეიტინგში 108-ე ადგილს იკავებს, 10,099 დოლარის შემოსავლით. საქართველოს მეზობელი ქვეყნებიდან რეიტინგში აზერბაიჯანი 71-ე ადგილზეა, თურქეთი 63-ზე, რუსეთი 52-ზე, ხოლო სომხეთი — 114-ზე. მსოფლიოს ყველაზე მდიდარი ქვეყნების სია შემდეგია:

ყატარი (ერთ სულ მოსახლეზე შემოსავალი PPP 129 512 დოლარი);
ლუქსემბურგი (100 991 დოლარი);
მაკაო (87 845 დოლარი);
სინგაპური (86 854დოლარი);
ბრუნეი (77 662 დოლარი);
ქუვეითი (70 587 დოლარი);
ირლანდია (69 374 დოლარი);
ნორვეგია (69 031 დოლარი);
არაბთა გაერთიანებული საემიროები (67 947 დოლარი);
სან-მარინო (64 465 დოლარი);

საყურადღებოა, რომ თუ ნომინალური მშპ-ს ერთ სულ მოსახლეზე მაჩვენებლით აზერბაიჯანს გავუსწარით და მომდევნო 4 წელიწადში ბოსნიასა და ალბანეთსაც უნდა ვაჯობოთ. თუმცა, თუ ფულის მსყიდველობითი უნარის (PPP) გათვალისწინებით დავაჯგუფებთ ქვეყნებს, აღმოჩნდება, რომ თუნდაც ბელარუსისა და აზერბაიჯანის ცხოვრების დონემდე საქართველოს ჯერ კიდევ ბევრი უკლია. სსფ-ს ინფორმაციით, 2017 წლის მაჩვენებლით ბელარუსში ერთ სულ მოსახლეზე შემოსავალი (PPP)18 616 დოლარი, აზერბაიჯანში —17 433 დოლარი, ხოლო საქართველოში 10 644 დოლარია. ამ პარამეტრში აზერბაიჯანი ჯერ კიდევ წინაა ჩვენთან მიმართებით და დღევანდელი ეკონომიკური ზრდის ტემპის გათვალიწინებით კიდევ რამდენიმე წელი ასე იქნება.

მერაბ ჯანიაშვილი

◎ ვისთვის დაბალი, ვისთვის მაღალი...

ნატალია საბანაძემ, უვიზო მიმოსვლის შეჩერების მექანიზმი არ ამოქმედდებაო!



„ევროკავშირის წევრმა ქვეყნებმა შესაძლოა, საქართველოსთან მიმართებაში უვიზო რეჟიმის შეჩერების მექანიზმი აამოქმედონ — ასეთი ინფორმაცია „რადიო თავისუფლების“ ჟურნალისტმა რიკარდ იოზვიაკმა გაავრცელა. გამოცემის კორესპონდენტი ბრიუსელში ასევე წერს, რომ ევროკავშირში შეშფოთებული არიან საქართველოდან თავშესაფრის მაძიებლებით. „შეჩერების მექანიზმი განხილული იქნება სამშაბათს“, — წერს იოზვიაკი.

ამ ინფორმაციას განმარტავს ევროკავშირში საქართველოს წარმომადგენლობის ხელმძღვანელი **ნატალია საბანაძე.**

„მიმდინარეობს რუტინული განხილვა, არაფერი ამაში საგანგებო და არაგეგმური არ არის. საუბარია კომისიის ანგარიშზე, მთელ რიგ ქვეყნებთან როგორ მიმდინარეობს უვიზო მიმოსვლა. საქართველოსთან დაკავშირებით არასწორი ინტერპრეტაცია მოხდა, სიმართლე არ არის, რომ საქართველოსთვის უვიზო რეჟიმის შეჩერების განხილვა იგეგმება“, — განაცხადა საბანაძემ.

— ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ჩვენმა მოქალაქეებმა არ დაარღვიონ უვიზო რეჟიმის წესები, არ გადააცილონ 3 თვეს. რაც შეეხება თავშესაფრის მოთხოვნას, აქ დაკმაყოფილების სტატისტიკა არის ძალიან დაბალი. ევროკავშირის ბევრ წევრ ქვეყანას საქართველო შეყვანილი ჰყავს უსაფრთხო ქვეყნების სიაში, ამიტომ მოთხოვნების განხილვა ავტომატურად ნეგატიური პასუხით სრულდება. ესეც გასათვალისწინებელია. ჩვენ უნდა გავუფრთხილდეთ ამ მონაპოვარს, — ამბობს ნატალია საბანაძე.

მართლაც ქმნის თუ არა ვიზალიბერალიზაციის ამოქმედების შემდეგ სტატისტიკა იმის საშიშროებას, რომ უვიზო მიმოსვლის შეჩერების მექანიზმი ამოქმედდეს?

შეგახსენებთ, რომ ევროკავშირთან უვიზო რეჟიმის ამოქმედების შემდეგ, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, 2017 წლის მარტიდან — დეკემბრის პერიოდში, შენგენის ზონაში საქართველოდან 174 ათას 596 გამგზავრების ფაქტი აღირიცხა, საიდანაც 494 უვიზოდ მოგზაური, ანუ 0.3% საზღვარზე არ შეუშვეს. იმ პირების რაოდენობა, რომლებმაც, სავარაუდოდ, დაარღვიეს შენგენის ზონაში უვიზოდ მიმოსვლისთვის გათვალისწინებული 90-დღიანი ვადა, 10 330-ს შეადგენს. ქართველი ანალიტიკოსები ამბობენ, ეს არ არის ის რიცხვი, ის გადაჭარბებული რაოდენობა, მასობრივი შედინება შენგენის ზონაში, რომელმაც ჩვენ უნდა გვაფიქრებინოს და მიგვანიშნოს იმაზე, რომ შეჩერების მექანიზმი შეიძლება ამოქმედდეს. შესაბამისად, შეჩერების მექანიზმის ამოქმედების საფრთხეს ამ ეტაპზე ექსპერტები ვერ ხედავენ.

გარდა ამისა, დაახლოებით ერთი თვის წინათ, ევროკომისიამ გამოაქვეყნა ანგარიში, რომელიც საქართველოს მიერ ვიზების ლიბერალიზაციის კუთხით აღებული ვალდებულებების შესრულებას აღწერდა. ევროკავშირმა საქართველოს რეკომენდაციებითაც მიმართა, ზოგიერთი რეფორმის დაჩქარებაც მოსთხოვა, მაგრამ მთლიანობაში აღინიშნა, რომ საქართველო ვიზალიბერალიზაციის პირობებს და აღებულ ვალდებულებებს ასრულებს.

და კიდევ, რა შემთხვევაში აღუდგება სავიზო მოთხოვნები ევროკავშირის არაწევრ სახელმწიფოებს, რომლებიც სარგებლობენ უვიზო მიმოსვლით?

თუ საგრძნობლად გაიზრდება იმ ადამიანების რაოდენობა, რომლებიც ევროკავშირის სახელმწიფოში შესვლაზე უარს მიიღებენ, ან გაიზრდება ევროკავშირში ამ სახელმწიფოს მოქალაქეთა არალეგალურად დამრჩენთა რიცხვი; თუ უსაფუძვლოდ თავშესაფრის მაძიებელთა მიმართვა საგრძნობლად გაიზრდება ან თუ ქვეყანა ნაკლებად ითანამშრომლებს ევროკავშირთან რეადმისიის კუთხით (მიგრანტთა დაბრუნებაზე); თუ ქვეყნიდან ჩასული ადამიანები საფრთხეს შეუქმნიან ევროკავშირის სახელმწიფოს საზოგადოებრივ წესრიგსა და შიდა უსაფრთხოებას.

მოგვაწოდა
„კომერსანტმა“

◎ გინდ შეიტანეთ, გინდ გამოიტანეთ!

ამერიკაში მხოლოდ ინტელექტუალებს შეუშვებენ!

— როდესაც ჩვენს ქვეყანაში ვიღებთ ხალხს, კანადის მსგავსად უნდა ვიმოქმედოთ. უნდა შევაფასოთ, რამდენად დაიცავენ კანონს და ხომ არ წარმოადგენენ ჩვენთვის საფრთხეს, აქვთ თუ არა განათლების საკმარისი დონე და უნარები, რაც ამერიკაში წარმატების მისაღწევად აუცილებელია, — აცხადებს ტელეარხ Fox News-ის ეთერში აშშ-ის იუსტიციის დეპარტამენტის ხელმძღვანელი **ჯეფ სეშნსი**.

ტრამპის მიერ გამოვლენილი არაგულთბილი დამოკიდებულების შემდეგ ამერიკაში არაამერიკელთა მიმართ დამოკიდებულება კარდინალურად იცვლება. ამიერიდან ოკეანის გაღმა სტუმრობა მხოლოდ განათლებულებს შეეძლებათ. თუკი ამერიკელები საკუთარ ქვეყანაში შესასვლელად მიგრანტებისთვის მკაცრ კრიტერიუმებს დააწესებენ და მხოლოდ ინტელექტუალებს მიიღებენ, მაშინ გამორიცხული არ არის, მიგრანტებს უნარების ტესტის ჩაბარება მოსთხოვონ, ხოლო საქართველო არაინტელექტუალურებისა და უდიპლომოების ამარად დატოვონ.

ყოველ შემთხვევაში, ჯეფ სეშნსი უკვე მერამდენედ უსვამს ხაზს მიგრანტების განათლების დონეს და კითხულობს, რა არის კარგი იმაში, თუ „ამერიკაში შემოვუშვებთ ვინმეს, ვინც გაუნათლებელია, არ ფლობს უნარებს, ჩვენს ქვეყანაში სირთულეების წინაშე დადგება და წარმატებას ვერ მიაღწევს“.

ასე რომ, აშშ-ის იუსტიციის დეპარტამენტის ხელმძღვანელი ლოგიკურად ასკვნის, რომ ამერიკის საიმიგრაციო სისტემა იმგვარად უნდა იყოს რეფორმირებული, რომ მათ ქვეყანაში გადაბარგება მხოლოდ მათ შეძლონ, ვინც ამერიკისთვის სასარგებლო უნარებს ფლობს. სავიზო ლატარიის სისტემა კი ამ კონტექსტში არაკეთილგონიერად და აბსურდული პოლიტიკის ნაწილად განიხილება.

ექსპერტი მიგრაციის საკითხებში **ნანა ნაზაროვა** აცხადებს, რომ საქართველოს მოქალაქეებისთვის ამერიკაში ჩასვლა ისედაც გამკაცრებული იყო. ძირითადად იქ უვიზოდ არავინ მიდიოდა და ვიზის მიღების მსურველი გადიოდა გასაუბრებას. ამ გასაუბრების დროს ამერიკელები ხვდებოდნენ, მათ წინაშე როგორი ადამიანი იჯდა, განათლებული თუ გაუნათლებელი. გარდა ამისა, ამერიკელები უყურებდნენ საბუთებს, ამის გარეშე ვიზას არავის აძლევდნენ.

„მიგრანტთა მიმართ პოლიტიკის გამკაცრებას საქართველოს მოქალაქეებისთვის დიდი მნიშვნელობა არ აქვს. ჩვენთვის ისედაც გამკაცრებული იყო რეჟიმი და საქართველოდან ამერიკაში ძირითადად ინტელექტით გამორჩეული ხალხი მიდიოდა. მათ შორის, მიდიოდნენ სასწავლებლად, მიდიოდა ახალგაზრდობა, მიდიოდნენ მასწავლებლები. რაც შეეხება სამუშაოდ წასულებს, ყველამ იცის, რომ საქართველოდან წასული ექიმები ამერიკაში მოხუცების მომვლელებად მუშაობდნენ. ასე რომ, საქართველომ დიდი ხანია, დაკარგა თავისი ინტელექტუალური რესურსი. როგორც ჩანს, ამერიკის იუსტიციის დეპარტამენტის ახალი გადაწყვეტილება, რომ მიგრანტებს განათლებას შეუმოწმებენ, უფრო მაჰმადიანური ქვეყნებიდან ჩასულ ხალხს ეხება. რასაკვირველია, არ დაკონკრეტებენ ხალხის წარმომავლობას, რადგან დისკრიმინაცია გამოვა. ისე, ამერიკელებისთვის ბევრად უფრო მისაღებია საქართველოს მოქალაქეების მათ ქვეყანაში ჩასვლა, ვიდრე სხვების, რადგან საქართველოდან ძირითადად ინტელექტუალები გადიან“, — აცხადებს ნანა ნაზაროვა.

ექსპერტი უსაფრთხოების საკითხებში **ვახტანგ მაისაია** განმარტავს, რომ ფლობს თუ არა მიგრანტი უნარებს და აქვს თუ არა საკმარისი განათლების დონე, ეს უკვე პოლიტიკური სეგრეგაციის ნიშნებია. პოლიტიკური სეგრეგაციის ნიშნები მე-20 საუკუნის ანაქრონიზმი იყო, მაგრამ თურმე ამ დაავადებამ 21-ე საუკუნეშიც ამოყო თავი.

— მესმის, რომ ამერიკის უსაფრთხოებიდან გამომდინარე, აშშ-ში განსაკუთრებული ზომები უნდა იყოს მიღებული, მაგრამ ყველაფერს თავისი სახელი დავარქვათ. ეს არის პოლიტიკური სეგრეგაცია. ჩვენთვის რამდენად კარგი იქნება პოლიტიკური სეგრეგაცია, ცალკე საუბრის თემაა, მაგრამ ის, რომ ტერორისტები თავისუფლად დასეირნობენ, მალავენ სახეებს და მასხრად იგდებენ ჩვენს ძალოვან სტრუქტურებს, დაუშვებელია. აკაკი წერეთლის „ბაში-აჩუკის“ არ იყოს, ამის ფონზე გინდ შეიტანეთ, გინდ გამოიტანეთ თქვენი ფალავანი. სწორედ ამ დონეზე ვართ მისულნი. ჩვენ ვხედავთ, რომ ჩვენს ქვეყანაში მიგრანტების რაოდენობა თანდათანობით იზრდება. როგორ შემოდიან ეს ადამიანები, არავინ იცის, არავინ ახდენს მათ კონტროლს, თვითონ მაკონტროლებელი სისტემაა მოშლილი, — აცხადებს ვახტანგ მაისაია და ინტერესდება იმით, **ვინ შეამოწმებს ამერიკაში ჩასვლის მსურველთა განათლების დონესა და უნარებს?! ვინ დარჩა საქართველოში ისეთი, ვისაც გააჩნია უნარები, რომ სხვებს ჩაუტაროს გამოცდები უნარებში?**

ვახტანგ მაისაიას თქმით, სამწუხაროდ, დღეს ჩვენს სახელმწიფო სტრუქტურებში მუშაობა მასობრივად არაპრესტიჟული გახდა, ვინაიდან სახელმწიფოში დარჩა საშუალოზე დაბალი ინტელექტის მქონე პირები.

მანანა ნოზაძე

ქუთაისის მერიიდან 67 თანამშრომელი გაათავისუფლეს

ქუთაისის მერიიდან, რეორგანიზაციის შედეგად 67 თანამშრომელი გაათავისუფლეს. აქედან 19 პირადი განცხადებით გათავისუფლდა, ხოლო 16-ს ხელშეკრულება შეუწყდა. რეორგანიზაციის შედეგად მერიაში კულტურის, სპორტის, განათლების, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური გაუქმდა. ასევე გაიყო არქიტექტურისა და ზედამხედველობის სამსახური, მის ნაცვლად არქიტექტურის, ურბანული დაგეგმარებისა და ძეგლთა დაცვის სამსახური და ზედამხედველობის სამსახური ჩამოყალიბდა.

ამავდროულად, ადმინისტრაციულ სამსახურში შეიქმნა „კულტურის, სპორტის, განათლებისა და ძეგლთა დაცვის“ ახალი განყოფილება.

ᲬᲘᲜᲐᲡᲘᲢᲧᲕᲐᲝᲑᲐ

„...ჩემი ტიპის ადამიანის არსი იმაში მდგომარეობს, რას ფიქრობს და როგორ აზროვნებს იგი, და არა იმაში, თუ რასა იქმს და რას განიცდის“.

ᲐᲚᲑᲔᲠᲢ ᲐᲘᲜᲨᲢᲐᲘᲜᲘ

ალბერტ აინშტაინი დაიბადა ბავარიის ქალაქ ულმაში 1879 წლის 14 მარტს. მამამისი — გერმან აინშტაინი — იმ დროს წვრილი კომერსანტი იყო, ხოლო დედა შტუტგარტელი პოლინა კოხი, სიმინდით მოვაჭრის ოჯახიდან გახლდათ.

პატარა ალბერტმა თითქმის სამი წლისამ ამოიდგა ენა და სანამ შვიდი წლისა არ გახდა, მუდმივად იმეორებდა ყოველ წარმოთქმულ ფრაზას. ათი წლისაც კი სხარტად ვერ ლაპარაკობდა.

დაწყებით სკოლაში პატარა ალბერტს Biedermeir („ალალი მიამიტი“) შეარქვეს. ათი წლის აინშტაინი გიმნაზიაში შედის, მერე, უკვე ყმაწვილკაცი, იგონებდა, გიმნაზიაში სწავლისას „ჯორის სიჯიუტე და საშინელი ცნობისმოყვარეობა“ მეხმარებოდნენო.

14 წლის ალბერტ აინშტაინმა დიფერენციალური განტოლებებისა და ინტეგრალების ამოხსნა ისწავლა. როგორც თავად იგონებდა მოგვიანებით, ამის შედეგი იყო იმის ფანატიკური რწმენა, რომ ქვეყანა განზრახ უბნევდა თავგზას ახალგაზრდობას: ეს იყო შემაძრწუნებელი დასკვნა. კლასის დამრიგებელმა ერთხელ პირდაპირ განუცხადა აინშტაინს: „ძალიან მინდა, რომ დატოვოთ ჩვენი გიმნაზია, რადგან კლასში თქვენი ყოფნა საბოლოოდ არყვეს მოსწავლეებელთა მიმართ პატივისცემის გრძნობას“.

1895 წლის გაზაფხულზე 16 წლის ალბერტ აინშტაინმა მიატოვა გიმნაზია და შეეცადა, რომ ციურიხში უმაღლესი პოლიტექნიკური სასწავლებლის სტუდენტი გამხდარიყო, მაგრამ ხელი მოეცარა: ვერ ჩააბარა ბოტანიკისა და ფრანგული ენის გამოცდები. სასწავლებლის რექტორმა ასე დაამშვიდა აინშტაინი: „ნუ განიცდით, ჯუზეპე ვერდიც მყისვე ვერ მოხვდა მილანის კონსერვატორიაშიო“.

1896 წელს ალბერტ აინშტაინი მაინც ხდება პოლიტექნიკური სასწავლებლის სტუდენტი. „ზოგიერთ ლექციას, — იგონებდა იგი მოგვიანებით, — დიდი გულისყურით ვისმენდი, მაგრამ ბევრსაც ვაცდენდი, სამაგიეროდ, მთელი გულმოდგინებით ჩავკირკიტებდი თეორიული ფიზიკის კორიფეთა შრომებსო“.

1900 წელს აინშტაინი შეეცადა ფიზიკის მასწავლებლის დიპლომის მოსაპოვებლად გამოცდების ჩაბარებას, მაგრამ სამუშაოზე არ მიიღეს. პროფესორები დიდად აფასებდნენ აინშტაინის ნიჭსა და უნარს, მაგრამ სამეცნიერო კარიერაში ყველა თავს არიდებდა ხელის წამოკვრას. მოგვიანებით აინშტაინი იგონებდა: „პროფესორები ჩემს აბუჩად აგდებას ცდილობდნენ მუდამ, თვალში არ მოვდიოდი ჩემი დამოუკიდებლობის გამო, და მეცნიერებისკენ მიმავალ გზას ყველანაირად მიხერგავდნენო“.

ორი წლის შემდეგ იგი ქალაქ ბერნში ფედერალური საპატენტო ბიუროს ექსპერტად მოეწყო. 1909 წლამდე ამ ბიუროს თანამშრომელი იყო, ხოლო 1914 წელს ბერლინში მეცნიერებათა სამეფო პრუსიული აკადემიის მაღალანაზღაურებადი წევრი გახდა.

1903 წელს აინშტაინმა ცოლად მოიყვანა **მილევა მარიჩი,** რომელიც ოჯახსაც უვლიდა და მეუღლეს კვლევებშიც ეხმარებოდა. მილევამ აინშტაინს ორი ვაჟი გაუჩინა, მაგრამ 1919 წელს მეუღლეები გაიყარნენ.

1915 წელს მეცნიერებათა აკადემიის სხდომაზე აინშტაინმა ფარდობითობის საერთო თეორია წარადგინა. მალე ეს თეორია იმდენად სკანდალურად გახმაურდა, რომ 1921 წელს ნობელის კომიტეტმა მეცნიერს პრემია შემდეგი ფორმულირებით მიანიჭა: „ფოტოელექტრონული ეფექტის კანონის აღმოჩენისთვის, აგრეთვე თეორიული ფიზიკის დარგში სხვა ნაშრომებისთვის“. აქვე უნდა ითქვას, რომ ნობელის კომიტეტის არქივში შემონახულია ალბერტ აინშტაინის 50 ნომინაციაზე მეტი ფარდობითობის თეორიის ფორმულირებასთან დაკავშირებით, ხოლო თვითონ მეცნიერის კანდიდატურას 1910 წლიდან ყოველწლიურად წარადგენდნენ პრემიაზე.

ალბერტ აინშტაინმა კარგა ხანს იცოცხლა. იმათი აზრი, ვინც უკანასკნელ გზაზე აცილებდა მეცნიერს 1955 წელს, ყველაზე უკეთესად გამოხატა ფრიც ჰაბერმა (ნობელის ლაურეატი), რომელმაც ერთხელ აინშტაინს მისწერა: „მრავალი საუკუნის შემდეგ უბრალო ადამიანები ჩვენს დროს მოიგონებენ როგორც მსოფლიო ომების ეპოქას, ხოლო განათლებული ადამიანები თქვენს სახელს XX საუკუნის დამდეგს დაუკავშირებენ, ზუსტად ისევე, როგორც დღეს XVII საუკუნის დასასრული ზოგიერთისთვის ლუდოვიკო XIV ომების ხანაა, ხოლო სხვათათვის — ნიუტონის ეპოქა“.

ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘ ᲐᲚᲑᲔᲠᲢ ᲐᲘᲜᲨᲢᲐᲘᲜᲖᲔ

1. ᲑᲐᲕᲨᲕᲝᲑᲐᲨᲘ ᲐᲚᲑᲔᲠᲢ ᲐᲘᲜᲨᲢᲐᲘᲜᲘ ᲐᲠ ᲧᲝᲤᲘᲚᲐ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲜᲘᲭᲘᲔᲠᲔᲑᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲣᲜᲐᲠᲘᲗ ᲓᲘᲓᲐᲓ ᲒᲐᲛᲝᲠᲩᲔᲣᲚᲘ ᲛᲝᲬᲐᲤᲔ

პატარა ალბერტის გარემოცვიდან ბევრს იგი არასრულყოფილად მიაჩნდა. ის კი არა, დედამისი ფიქრობდა, მგონი, გონებრივად მთლად საღი შვილი არ გამიჩნდაო.

სკოლაში პატარა აინშტაინს თანაკლასელები თითქმის ყველანი, აქილიკებდნენ და ამასხარავებდნენ, ვინაიდან გულდახურულ, ზარმაც, ზოზინა და ყველაფერში ხელმოცარულ ბიჭად მიაჩნდათ. თვითონ მასწავლებლებიც ეჭვის თვალით უცქერდნენ, ამისგან კაცი არ დადგებაო, ამბობდნენ.

გიმნაზიაში ატესტატი ვერ აიღო, მაგრამ ალბერტი მშობლებს არწმუნებდა, ჩემით მოვემზადები და ციურიხის უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებელში შევალო. მომზადებით კი მოემზადა, თუმცა პირველსავე გამოცდაზე ჩაიჭრა.

2. ᲐᲘᲜᲨᲢᲐᲘᲜᲘᲡ ᲛᲐᲛᲐᲖᲔᲪᲘᲔᲠᲘ ᲡᲬᲐᲛᲓᲐ

არავისთვის საიდუმლო არ არის, რომ ალბერტ აინშტაინი საზოგადო მოღვაწე გახდა სწორედ მე-19 საუკუნის სამეცნიერო და სამრეწველო რევოლუციების პერიოდში. თუმცა ხშირად გამოდიოდა „მამაზეციერის არსებობის“ თაობაზე. ალბერტ აინშტაინს სწამდა, რომ მეცნიერება მჭიდროდ არის დაკავშირებული „ქვეყნიერების რელიგიური შეგრძნების“ შემეცნებასთან.

3. ᲐᲚᲑᲔᲠᲢ ᲐᲘᲜᲨᲢᲐᲘᲜᲛᲐ ᲣᲐᲠᲘ ᲗᲥᲕᲐ ᲘᲡᲠᲐᲔᲚᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲝᲑᲐᲖᲔ

1952 **წელს,** როცა პრეზიდენტი ხაიმ ვაიზმანი გარდაიცვალა, ქვეყნის მოქმედმა პრემიერ-მინისტრმა დავით ბენგურიონმა შესთავაზა მეცნიერს, დაგვდე პატივი და ისრაელის პრეზიდენტი გახდიო.

ალბერტ აინშტაინმა ცივი უარით უპასუხა პრემიერ-მინისტრს, თქვენმა ყურადღებამ და წინადადებამ, მართალია, გული ამიჩუყა, მაგრამ ვერ დაგეთანხმებითო.

4. ᲐᲘᲜᲨᲢᲐᲘᲜᲘ ᲥᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ ᲤᲠᲘᲐᲓ ᲜᲐᲖ ᲒᲠᲫᲜᲝᲑᲔᲑᲡ ᲐᲕᲚᲔᲜᲓᲐ

დიდი მეცნიერის გარდაცვალებიდან რამდენიმე წლის შემდეგ გამოქვეყნდა მისი წერილების კარგა მოზრდილი კრებული. ის წერილები სულ სხვადასხვა ქალებისთვის იყო მიწერილი და იმათი რაოდენობის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მეორე ქორწინების დროს ალბერტ აინშტაინი ესიყვარულებოდა თავის მდივან ქალსაც და მავან ეტელ მიჩანოვსკის. ეს უკანასკნელი, თვითონ ფიზიკოსის თქმით, მოსვენებას არ აძლევდა თურმე და, როგორც იტყვიან, სულ კუდში დასდევდა.

ალბერტ აინშტაინი მეუღლეს რომ გაჰყროდა, განქორწინებისთვის იმდენი ფული შესთავაზა, რაც არცროდის ჰქონია, მაგრამ ნობელის პრემიის იმედად იყო, რასაც ბევრი ფულიც უნდა მოჰყოლოდა.

6. ᲡᲐᲮᲔᲚᲓᲐᲜᲗᲥᲛᲣᲚᲘ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲘ „ᲛᲐᲜᲰᲔᲢᲔᲜᲘᲡ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘᲡ“ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲐᲕᲢᲝᲠᲘ ᲘᲧᲝ, ᲡᲐᲘᲓᲐᲜᲐᲪ ᲛᲔᲠᲔ ᲒᲐᲠᲘᲪᲮᲔᲡ

1939 **წელს** მეცნიერმა ლეო ჟილარდმა წერილი მისწერა პრეზიდენტ რუზველტს და აინშტაინმა თვითონაც მოაწერა ხელი. იმ დროიდან საზოგადოებრიობა ამ წერილს მიიჩნევს „მანჰეტენის პროექტის“ საფუძვლად. ეს პროექტი კი თავისებური პროგრამა იყო, რომლის დროსაც შეიქმნა ატომური ბომბები, შემდგომ იაპონიაში რომ ჩამოყარეს.

7. ᲐᲚᲑᲔᲠᲢ ᲐᲘᲜᲨᲢᲐᲘᲜᲘᲡ ᲔᲙᲣᲗᲕᲜᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘ ᲤᲠᲐᲖᲐ

„**თუ** ქვეყანაში ახალგაზრდების 2% უარს იტყვის სამხედრო სამსახურზე, მთავრობა წინააღმდეგობის გაწევას ვერ შეძლებს, ხოლო ციხეებში იმდენი ადგილი არ იქნება“. ეს გამონათქვამი იქცა ამერიკელი ახალგაზრდების მიერ ომის საწინააღმდეგო მოძრაობის შექმნის საფუძვლად. აქტიურ ახალგაზრდებს ამასთანავე, სამკერდე ნიშნები ეკეთათ წარწერით „2%“.

...ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ:

არის ცხოვრების ორი რამ წესი: ერთის თანახმად, თითქოს არცრა სასწაული არა ხდება, ხოლო მეორის მიხედვით, თუ ცხოვრობ, ყველაფერი ამქვეყნად სასწაულია.

* * *

ცალკეული ადამიანის ცხოვრებას იმდენად აქვს აზრი, რამდენადაც ის ეხმარება სხვა ადამიანების ცხოვრების გაკეთილშობილებას.

ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ ველოსიპედით სიარულს ჩამოჰგავს — წონასწორობის შესანარჩუნებლად აუცილებლივ უნდა იმოძრაო.



* * *

უკეთუ ადამიანი ისე ცხოვრობს, თითქოს ყოველივე, რაც გარს აკრავს, სასწაულია, მაშინ ის ამ ცოდვილ ქვეყანაზე სილამაზის უმცირესი გამოვლინებითაც ტკბება. მხოლოდ ამ შემთხვევაში იქნება ცხოვრება შვების მომგვრელი და ნაყოფიერი.

* * *

ჩემი აზრით, ჩვენს ეპოქას საშუალებების სრულყოფილება და მიზნების რია-რია ახასიათებს.

* * *

ოცნებაში მონავარდე პაციფიზმი ჩმახი და სისულელეა. მშვიდობისთვის პრაქტიკულად უნდა ვმუშაობდეთ, უნდა ვიბრძოდეთ და არა ყბედობით ვიცავდეთ. უწინარესად საქმეა საჭირო.

(ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐ ᲛᲝᲠᲘᲒ ᲜᲝᲛᲔᲠᲨᲘ)

ᲐᲡᲔ ᲐᲛᲑᲝᲑᲓᲐ ᲐᲚᲑᲔᲠᲢ ᲐᲘᲜᲨᲢᲐᲘᲜᲘ



ᲠᲣᲡᲣᲚᲘ ᲢᲔᲥᲡᲢᲘ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲐᲓ ᲒᲐᲓᲐᲛᲝᲐᲔᲜᲐ ᲒᲣᲠᲐᲛ ᲒᲝᲒᲘᲐᲨᲕᲘᲚᲛᲐ

ᲐᲚᲑᲔᲠᲢ ᲐᲘᲜᲨᲢᲐᲘᲜᲘ — ნობელის პრემიის ლაურეატი, ბრწყინვალე ფიზიკოს-თეორეტიკოსი არაერთი ნოვატორული სამეცნიერო შრომისა და უამრავი თვალსაჩინო აღმოჩენის ავტორია, რომლის სახელიც სამუდამოდ შევიდა ისტორიაში.

ამ უდიდესი მეცნიერის კალამს მრავალი ბრწყინვალე, გონებამახვილური, გამქირდავი აფორიზმი და გამონათქვამი ეკუთვნის, რაც სრულიად ახალი კუთხით დაგანახვებთ აინშტაინის პიროვნებას.

ეს კრებული გამოიცა 2015 წელს დონის როსტოვში რუსეთში ერთ-ერთი მსხვილი რეგიონალური გამომცემლობის — „ფენიქსის“ მიერ. კრებულის ავტორ-შემდგენელია დონის როსტოველი მწერალი-ჟურნალისტი ნინო გოგიტიძე.

ქართული ტექსტი რედაქტირებულია ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ მამუკა დოლიძის მიერ.

მასალის რუბრიკად გამოყენებულია დიდი შოთა რუსთაველის ფრაზა.

თეიმურაზ გუგუშვილის კიდევ ერთი აღიარება

საქართველოს სახალხო არტისტი, საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, ზაქარია ფალიაშვილის, ზურაბ ანჯაფარიძის, ირინა არხიპოვას სახელობის პრემიების ლაურეატი, ღირსების ორდენოსანი, თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სოლისტი, თბილისის კონსერვატორიის სოლო აკადემიური სიმღერის მიმართულების ხელმძღვანელი, პროფესორი თეიმურაზ გუგუშვილი - ეს ბატონ თეიმურაზის რეგალიებია, ამ ფაქტობრივი მონაცემების მიღმა კი, საყოველთაოდ აღიარებული, გამოჩენილი ქართველი მომღერლის ბიოგრაფიის ფურცლებია, აღსავსე დაუცხრომელი შრომით, მუსიკის უსაზღვრო სიყვარულით, სიახლეების ძიებით, წარმატებებით.

თეიმურაზ გუგუშვილის სახელი გამორჩეულია ჩვენი ქვეყნის მუსიკალურ ხელოვნებაში, თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის ისტორიაში. ულამაზესი ხმა, დიდი შემოქმედებითი ნებისყოფა, უსაზღვრო შრომისმოყვარეობა, მაღალი პროფესიონალიზმი, ძალზე დახვეწილი ვოკალური ოსტატობა, გრძნობათა უშუალობა, ემოციათა ფერადოვნება, გასაოცარი სცენური ხიბლი თეიმურაზ გუგუშვილისეული არტისტული თვითმყოფადობის ის ქვაკუთხედია, რომლის მეოხებითაც ქმნის მომღერალი სრულქმნილ სცენურ სახეებს ქართველ, რუს თუ დასავლეთის კლასიკოს და თანამედროვე კომპოზიტორთა თხზულებებში. ასეთი სახეები კი, ცხადია, მრავლად არის მის შემოქმედებაში — ალმავივა, ნემორინო, ჰერცოგი, რადამესი, დონ კარლოსი, კავარადოსი, კანიო, რუდოლფი, პინკერტონი, გერმანი, ლენსკი, აბესალომი, მალხაზი, კოტე, მინდია, არზაყანი და სხვა.

2017 წელი ერთგვარად საიუბილეო იყო თეიმურაზ გუგუშვილისთვის — 40 წელიწადი შესრულდა მას შემდეგ, რაც იგი თბილისის ოპერის თეატრის სოლისტი გახდა. ოპერის თეატრში გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან წარმატებით მოღვაწე არტისტების მხარდამხარ სერიოზული, მნიშვნელოვანი ეპოქა შექმნა თეიმურაზ გუგუშვილმა, რითიც თავისი გამორჩეული წვლილი შეიტანა არაოდენ ამ თეატრის განვითარებაში, არამედ ქართული ვოკალური ხელოვნების წინსვლისა და აღმავლობის საქმეში. საამაყოა, რომ ორმოცწლიანი მოღვაწეობის მანძილზე ბატონ თემურს არასოდეს უღალატია თბილისის ოპერის თეატრისთვის. დიახ, თეიმურაზ გუგუშვილი საუკეთესო ქართული სასიმღერო ტრადიციების ღირსეული გამგრძელებელია.

თეიმურაზ გუგუშვილის ხელოვნებას კარგად იცნობენ და აფასებენ მსოფლიოს არაერთ ქვეყანაში, სადაც მრავლად აქვს გამართული გასტროლები და სადაც მან მრავალგზის წარმატებით წარმოაჩინა ქართული ვოკალური სკოლა, საგასტროლო რუკა კი, დაახლოებით ასე გამოიყურება — ყოფილი საბჭოთა კავშირის ქალაქები, ავსტრალია, ბელგია, დანია, ლუქსემბურგი, ჰოლანდია, გერმანია, იტალია, ინგლისი, შოტლანდია, ირლანდია, იაპონია, თურქეთი, ისრაელი, ჩეხეთი, სლოვაკეთი...

ასეთი გზით მოემართება ათწლეულების მანძილზე ქართული ვოკალური სკოლის თვალსაჩინო წარმომადგენელი, აღიარებული შემოქმედი, მუსიკის ერთგული მსახური — თეიმურაზ გუგუშვილი — კაცი, რომელიც საკუთარ კვალს ავლებს ქართული მუსიკალურ-საშემსრულებლო ხელოვნების განვითარებაში და არაერთ შემოქმედებით წარმატებასაც ზეიმობს.

დღევანდელი გადასახედიდან სრულიად არგუმენტირებულად შეიძლება ითქვას, რომ თეიმურაზ გუგუშვილი იმ ბედნიერ ხელოვანთა, არტისტთა რიცხვს მიეკუთვნება, რომლებიც უყვარს ხალხს, ეს სიყვარული კი ყველაზე დიდი ჯილდოა შემოქმედისთვის.

და აი, გამოჩენილი მომღერლის ღვაწლის კიდევ ერთი ჭეშმარიტად დამსახურებული აღიარება — 4 თებერვალს თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის წინ საზეიმოდ გაიხსნება თეიმურაზ გუგუშვილის სახელობითი ვარსკვლავი.

წინამდებარე წერილის წერისას ინტერნეტში ამოვიკითხე საყოველთაოდ აღიარებული, წარმატებული საერთაშორისო კარიერის მქონე ახალგაზრდა ქართველი მომღერლების კომენტარები, სადაც ნათლად ჩანს მათი დამოკიდებულება თემურ გუგუშვილისადმი და იმდენად საგულისხმოდ მივიჩნიე, რომ გთავაზობთ რამდენიმე ფრაგმენტს:

„სულითა და გულით ვულოცავ ბატონ თემურს ამ დამსახურებულ ჯილდოს და სახალხო აღიარებას. ყველამ ვიცით, რომ მართლაც ფენომენალურია მისი ფიზიკური თუ ვოკალური შესაძლებლობები. უკვე რამდენი ათეული წელია, მისი ვოკალური საშემსრულებლო ტექნიკა და დონე ურყევია, რაც მის მაღალპროფესიონალურობაზე მიუთითებს. ის კიდევ მრავალი წელი იქნება მის ჩვეულ „Top Form“-აში, და ალბათ, დაამკვიდრებს ვოკალური დღეგრძელობის გამოთქმას — „გუგუშვილის ფენომენი“! მახსოვს, ჯერ კიდევ სკოლის დაწყებითი კლასების მოსწავლე ვიყავი, მამას რომ დავყავდი ოპერის თეატრში — ბატონი თემური უკვე წამყვანი მომღერალი იყო. მას ცხოვრების მანძილზე უამრავი მსოფლიო მიწვევები ჰქონდა, რომ ევროპაში ფუფუნებაში განეგრძო კარიერა, მაგრამ მახსოვს მითხრა: რას ამბობ, ყოველდღე ჩემს ქუჩაზე რომ არ ავიარო, ცუდად გავხდები, დიდი-დიდი ერთი-ორი კვირა დავტოვო ჩემი უბანიო. ასეთი ადამიანები ათმაგად დასაფასებლები არიან...“ — წერს თამარ ივერი.

„ძალიან დამსახურებული და დროულია ჩვენი მგოსნის და არაჩვეულებრივი პროფესიონალის თემურ გუგუშვილის ვარსკვლავის გახსნა, მასთან ბევრჯერ მომიწია პარტნიორობა თბილისის ოპერის თეატრის სცენაზე და ასევე ბევრი რამ შემძინა ამან, კარგი ადამიანი და კარგი კოლეგაა“ — ასე აფასებს თემურ გუგუშვილს გიორგი გაგნიძე.

„ნამდვილად იმსახურებს ყველა ჯილდოს! ვულოცავ ბატონ თემურს — ფენომენალურ მომღერალს! ამდენი წელი იდგე სცენაზე, იმღერო ურთულესი და ძალიან განსხვავებული რეპერტუარი უმაღლეს დონეზე, ძალიან ძნელია. პოსტსაბჭოთა სივრცეში როგორ უყვართ და აფასებენ, ეგ ცალკე საკითხია — აღმერთებენ!“ — ეს კი **გიორგი ონიანის** სიტყვებია.

ბატონო თემურ, გულითადად გილოცავთ კიდევ ერთ აღიარებას. გილოცავთ ისეთივე წრფელი გულითა და გრძნობით, როგორითაც თქვენ ხართ გამსჭვალული სამშობლოსა და მშობელი ხალხის მიმართ, ისეთივე სიყვარულით, როგორიც გაკავშირებთ თქვენს მშობლიურ თეატრთან. დღეგრძელობას გისურვებთ და ვიმედოვნებთ, რომ კიდევ მრავალჯერ აღაფრთოვანებთ თქვენს ერთგულ თაყვანისმცემლებს.

ზურაბ ოიკაშვილი

„ჩემთვის დღესავით არის ნათელი, რას იტყვის ჩემზე შთამომავლობა“?!

ასოციაცია „კულტურათა დიალოგი XXI“ აგრძელებს ლექცია-დისკუსიების სერიას

ასოციაცია „კულტურათა დიალოგი XXI“-ს (www.diacult.ge) ერთ-ერთი პრიორიტეტია კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობის ხელშეწყობა და განვითარება. ამ მიზნით ასოციაციამ გასული წლის ნოემბრიდან დაიწყო ტრეინინგული ხასიათის მრავალპლანიანი ლექცია-სემინარების სერია, რომელმაც დიდი ინტერესი გამოიწვია. სალექციო კურსები 2018 წელსაც გაგრძელდება და იქნება ფართო სპექტრის მომცველი. ლექცია-დისკუსიებს წარუძღვებიან ღვაწლმოსილი მოღვაწეები, ცნობილი მეცნიერები, ლიტერატურისა და ხელოვნების ცნობილი მოღვაწეები, წარმატებული სპეციალისტები.

წლევანდელი პირველი შეხვედრა მიეძღვნება გალაკტიონის იუბილეს, რომელიც 2017 წლის 16 ნოემბერს ლონდონში აღინიშნა და მას წარუძღვება ცნობილი ქართველი მეცნიერი და მთარგმნელი, საქართველოს ბაირონის საზოგადოების პრეზიდენტი, პროფესორი ინესა მერაბიშვილი. შეხვედრა გაიმართება შაბათს, 27 იანვარს 17 საათზე, „წიგნის სახლში ბახტრიონზე“ (მისამართი: ბახტრიონის ქ. 11 ბ).



ლექცია-სემინარების კურსის გამართვაში ასოციაცია „კულტურათა დიალოგი XXI“-ს პარტნიორები არიან: ბადიაურის აგროსამრეწველო სავაჭრო კომპლექსი, კაფე-გალერეა „წიგნის სახლი ბახტრიონზე“, რესტორანი „თბილისის მუხამბაზი“, საინფორმაციო მხარდამჭერები: გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი, TV პირველი, მედია ჰოლდინგი „რეპორტიორი“.

დამატებითი ინფორმაციის გაცნობა შესაძლებელია ასოციაცია „კულტურათა დიალოგი XXI“-ს ოფიციალურ ვებ-გვერდზე: www.diacult.ge

25 იანვარს, 19 საათზე „არტანუჯი“ გიწვევთ კახმეგ კუდავას ახალი წიგნის წარდგენაზე. „150 ამბავი ნობელიანტ ფიზიკოსებზე“ სერია „თან საკითხავის“ ფარგლებში გამოიცა...

მისამართი: **ჭავჭავაძის გამზირი, №17ბ, წიგნის მაღაზია „შაქრო ბაბუა“.** ეს წიგნი ნობელიანტ ფიზიკოსებზე მოგვითხრობს. მათი სახელი ეწოდა განტოლებებსა და კანონებს, თეორიებსა და ფორმულებს, ტალღებსა და ნაწილაკებს, ეფექტებს, ელემენტებს, მოვლენებსა და ექსპერიმენტებს... ამ ადამიანებმა თავიანთი ცხოვრება მსოფლიოს განვითარებასა და პროგრესს მიუძღვნეს, ამიტომაც კაცობრიობას აქვს კეთილშობილური ვალი მათ წინაშე.

წიგნის ავტორ-შემდგენელს — ფიზიკოსსა და გამომცემელ კახმეგ კუდავას ცდა არ დაუკლია იმისათვის, რომ ფიზიკისა და ფიზიკოსთა რთული, საინტერესო და ეპოქალური ამბები მოუწყინრად საკითხავი ყოფილიყო.

დასწრება თავისუფალია!

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ ᲣᲡᲐᲤᲠᲗᲮᲝ ᲓᲐ ᲢᲣᲠᲘᲡᲢᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲛᲖᲘᲓᲕᲔᲚᲘ ᲛᲐᲠᲒᲐᲚᲘᲢᲘ

„ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ-ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲣᲠᲘ ქვეყანა თავისი ისტორიით, არქიტექტურით, ბუნებით, კულტურით, ეროვნული სამზარეულოთი და განვითარებული მეღვინეობით რეგიონის მარგალიტს წარმოადგენს“ — ასე იწყება სამხრეთ კორეული გამოცემის „The Korea Herald“-ის მიერ ჯოელ ლის ავტორობით გამოქვეყნებული სტატია, რომლის ქართულენოვან ვერსიას, მცირე შემოკლებით საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესი“ გთავაზობთ.

საქართველო, მოგზაურობის თვალსაზრისით, მსოფლიოს ერთ-ერთ უსაფრთხო ქვეყნად ითვლება, რასაც ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ გავრცელებული რეკომენდაციაც ადასტურებს. საერთაშორისო მასმედიაში სულ უფრო მზარდი რეკლამირების წყალობით მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების ტურისტები საქართველოს სულ უფრო მეტ ყურადღებას აქცევენ და აღიარებენ ქართულ ღირსშესანიშნაობებს, როგორც მნიშვნელოვან ფასეულობებს.

საქართველო ევროპა-აზიის გზაგასაყარზე მდებარეობს და მრავალი საუკუნის განმავლობაში აქვს ურთიერთობა მეზობლებთან — რუსეთთან, თურქეთთან, აზერბაიჯანთან და სომხეთთან. საქართველოს გამოცდილება ტურიზმის სფეროში მრავალფეროვანია: აქ მოგზაურებს სთავაზობენ მიმზიდველ ისტორიულ და რელიგიურ ტურებს, კულტურის დღესასწაულებში მონაწილეობას, ცურვას, სპა-სალონებს და სპელეოლოგიურ ღონისძიებებს. გათვალისწინებულია აგრეთვე ტურები ღვინის მოყვარულებისთვის.

საქართველოს საოცარი კლიმატური ზონები და რელიეფი გააჩნია, შავი ზღვის სუბტროპიკული ნაპირით დაწყებული და კავკასიის თოვლიანი მთებით დამთავრებული. ამ ქვეყანაში არის ალპური მდელოებიც, ნახევარუდაბნოებიც, ხეობებიც და დაჭაობებული ადგილებიც. საქართველოში ტურისტებს შესაძლებლობა აქვთ, თხილამურებით ისრიალონ, ისეირნონ ველოსიპედით და ცხენებით, იფრინონ პარაპლანებითა და საჰაერო ბურთებით, დაკავდნენ რაფტინგით (წყალჯომარდობით).

თბილისი, საქართველოს დედაქალაქი, ქვეყნის აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობს. მას 1500-წლოვანი ისტორია აქვს და დამშვენებულია შუა საუკუნეების ციხე-სიმაგრეებით, ქვაფენილიანი მიხვეულ-მოხვეული ქუჩებით, დიდებული ეკლესია-მონასტრებით, საუნებით და აბანოებით. ძველ თბილისში მდებარე აბანოებში ბუნებრივი მინერალური ცხელი წყალი მოდის. როგორც ამბობენ, გოგირდის აბანოები კორეელებისათვის საყვარელ ადგილად იქცა. მათი აზრით, ის ძალიან ჰგავს jjimjilbang-ს, პოპულარულ კორეულ ორთქლის საუნას. გარდა ამისა, კორეელი ტურისტებისთვის შთამბეჭდავია ქართული სამზარეულოს კერძებიც, რომლებიც არა მარტო კავკასიაშია განთქმული, არამედ ცენტრალურ აზიაშიც და ევროპაშიც.

2016 წელს საქართველო დაახლოებით 5 ათასმა კორეელმა ტურისტმა მოინახულა. წასვლა უვიზოდ ხორციელდება და იქ ყოფნა ერთი წლის განმავლობაში შეიძლება. კორეელი ტურისტები სიამოვნებით ათვალიერებენ მცხეთას (საქართველოს ძველ დედაქალაქს, თავისი უამრავი დიდებული ეკლესია-მონასტრებით), გორს (იქ იოსებ სტალინი დაიბადა), ყაზბეგს (რომელიც იგივე სახელის მქონე მთაზეა შეფენილი), ბათუმს (შავიზღვისპირა კურორტს) და კახეთს, რომელიც ღვინოებითაა განთქმული.

სხვათა შორის, ქართული პასპორტს მსოფლიოს ქვეყნების პასპორტების ინდექსში 53-ე ადგილი უკავია, რაც იმას ნიშნავს, რომ მის მფლობელს უვიზოდ მოგზაურობა საკმაოდ ბევრ ქვეყანაში შეუძლია: მაგალითად, ევროკავშირის შენგენის ზონის სახელმწიფოებში, რომელიც 26 ქვეყანას მოიცავს. აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წელს მსოფლიო ბანკმა საქართველოს ეკონომიკური ზრდის ადრინდელი 0,2%-იანი პროგნოზი 4,2%-ით შეცვალა, ხოლო 2019 წლისათვის ეკონომიკური ზრდა 4,7%-თ განსაზღვრა. 2020 წელს ეკონომიკური მატება 5%-ს მიაღწევს. „გლობალური ეკონომიკური პერსპექტივის“ მოხსენების თანახმად, საქართველო სამხრეთ კავკასიაში ერთ-ერთი ყველაზე დინამიკურად განვითარებული ქვეყანა გახდება.

„The Korea Herald“ (სამხრეთ კორეა)

ᲐᲭᲐᲠᲣᲚᲘ ᲡᲐᲛᲖᲐᲠᲔᲣᲚᲝ ᲓᲐ ᲢᲣᲠᲘᲡᲢᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲢᲔᲑᲘ — ᲒᲐᲓᲐᲪᲔᲛᲐᲗᲐ ᲪᲘᲙᲚᲘ ᲑᲔᲚᲐᲠᲣᲡᲨᲘ

ᲐᲭᲐᲠᲣᲚ სამზარეულოსა და ტურისტულ პოტენციალს ბელარუსში პოპულარულ კულინარიულ გადაცემას „50 რეცეპტი“ 8 მილიონამდე მაყურებელი გაეცნო. 4 ვრცელი გადაცემა, მთლიანად აჭარულ კერძებს, ფოლკლორსა და ტურისტულ პროდუქტებს მიეძღვნა.

რეგიონის ტურისტული ღირსშესანიშნაობების წარმოჩენის მიზნით შეიცვლა გადაცემის ფორმატი. ის სტუდიის ნაცვლად ბათუმის ქუჩებსა და სხვადასხვა ტურისტულ ადგილებში ჩაიწერა. გადაცემის მსვლელობისას წამყვანები მარინა კონდრატევა და დიმიტრი კიპენი აჭარაში მოგზაურობენ და მაყურებელს სხვადასხვა აჭარული კერძის მომზადებას ასწავლიან, პარალელურად კი უყვებიან ისტორიებს ტურისტული ღირსშესანიშნაობების, პროდუქტების და ადგილების შესახებ.

„ძალიან საინტერესო და კარგი გადაცემები გამოვიდა. მაყურებელს საშუალება ჰქონდა, ერთდროულად ენახა ჩვენი მარავლფეროვანი ტურისტული პროდუქტები. თუკი ერთ გადაცემაში ისინი ეცნობიან ბათუმს, აჭარული ხაჭაპურის მომზადების წესს, ზღვას და თბილ ბათუმურ გარემოს, მეორე გადაცემაში უკვე წამყვანებთან ერთად თოვლიან აჭარის მთებში მოგზაურობენ, სადაც ადგილობრივ ღვინის მარნებში სწავლობენ, თუ როგორ მოამზადონ უგემრიელესი სინორი. პირველი გადაცემა ეთერში საშობაოდ გავიდა, მას შემდეგ კი ყველა შაბათ-კვირას მაყურებელი აჭარაში მოგზაურობდა. ჩვენი თხოვნით შეიცვალა გადაცემის ფორმატი და ის კულინარიულთან ერთად სამოგზაუროც გახდა. ერთობლივმა პროექტმა გაამართლა და მას ძალიან კარგი გამოხმაურება მოყვა ბელარუსში,“ — განაცხადა აჭარის ტურიზმის დეპარტამენტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილე თამარ კაიკაციშვილმა.

ᲤᲘᲚᲘᲞᲘᲜᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ ᲑᲠᲫᲐᲜᲐ, ᲓᲐᲮᲕᲠᲘᲢᲝᲜ, ᲗᲣ ᲘᲡ ᲓᲘᲥᲢᲐᲢᲝᲠᲝᲑᲐᲡ ᲛᲝᲘᲜᲓᲝᲛᲔᲑᲡ

„თუ მე ხელისუფლებაში განკუთვნილ პერიოდზე მეტ ხანს დავრჩები და დიქტატორობას გადავწყვეტ, დამხვრიტეთ, არ ვხუმრობ. თუ გადავაჭარბებ ჩემს ვადას ერთი დღითაც კი, ფილიპინების შეიარაღებულ ძალებსა და ეროვნულ პოლიციას ვთხოვ, უზრუნველყოს კონსტიტუციის დაცვა“, — განაცხადა დუტერტემ სამხედრო ბაზაზე ვიზიტის დროს.

დუტერტემ, რომელმაც პრეზიდენტის პოსტი 2016 წელს დაიკავა, სახელი ნარკოდამოკიდებულებისა და ნარკოტიკების გამავრცელებლების წინააღმდეგ ბრძოლით გაითქვა. მისი ხელისუფლებაში მოსვლის დღიდან ფილიპინებში სასამართლო განხილვების გარეშე მოკლულია ნარკოტიკებთან დაკავშირებული 2 400 ადამიანი.

ᲐᲨᲨ-ᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲙᲐᲜᲐᲓᲘᲡ ᲡᲐᲜᲐᲞᲘᲠᲝᲔᲑᲖᲔ ᲪᲣᲜᲐᲛᲘᲡ ᲒᲐᲜᲒᲐᲨᲘᲐ ᲒᲐᲛᲝᲪᲮᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ

საფრთხის თავიდან ასაცილებლად სპეციალისტები ურჩევენ მოსახლეობას სანაპირო ზონები დატოვონ და მაღლობებს შეაფარონ თავი. მოსალოდნელი სტიქიის შესახებ გაფრთხილება შეერთებული შტატების მთელი დასავლეთ სანაპიროს, კანადის — ბრიტანეთის კოლუმბიის პროვინციისა და ჰავაის კუნძულების მოსახლეობამ ძლიერი მიწისძვრის შემდეგ მიიღო.

8.2 მაგნიტუდის ბიძგები ალიასკის ყურეში დაფიქსირდა. სეისმოლოგების ინფორმაციით, ეპიცენტრი ქალაქ კოდიაკიდან 280 კილომეტრში, 10 კილომეტრის სიღრმეზე მდებარეობდა.

ᲘᲢᲐᲚᲘᲐᲨᲘ ᲛᲐᲤᲘᲘᲡ 45 ᲬᲔᲕᲠᲘ ᲓᲐᲐᲙᲐᲕᲔᲡ

მათი უმრავლესობა მოჩას კლანში ირიცხება, რომელიც კამპანიისა და ლაციოს ოლქებს აკონტროლებს. დაკავებულთა შორის კლანის ლიდერი ლუიჯი მოცაცაა. დაკავებულებს ბრალი იარაღის უკანონო ტარებაში, დიდი რაოდენობით თანხების გამოძალვასა და ფულის უკანონო გათეთრებაში ედებათ.

ᲰᲐᲜᲝᲕᲔᲠᲘᲡ ᲐᲔᲠᲝᲞᲝᲠᲢᲨᲘ ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲗᲣᲠᲥᲔᲑᲘ ᲓᲐᲣᲞᲘᲠᲘᲡᲞᲘᲠᲓᲜᲔᲜ

ინციდენტი ჰანოვერის აეროპორტში მოხდა, სადაც ქურთები სირიაში თურქეთის მიერ დაწყებულ სამხედრო ოპერაციას აპროტესტებდნენ. მათ თავს აეროპორტში მყოფი თურქი მგზავრები დაესხნენ. ხელჩართული ჩხუბის შედეგად 2 ადამიანი დაშავდა. სამართალდამცველებმა მათ წინააღმდეგ ცრემლსადენი გაზი გამოიყენეს.

ᲘᲜᲓᲝᲜᲔᲖᲘᲐᲨᲘ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲛᲔᲠᲛᲐ ᲞᲝᲚᲘᲪᲘᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲫᲚᲔᲝᲑᲐ ᲨᲔᲐᲛᲝᲜᲛᲐ



მატარამ აჰიარ აბდუჰმა სამართალდამცველებს რამდენჯერმე დაარტყა. ინციდენტი პოლიციაში ახალი თანამშრომლების მიღების ცერემონიალზე მოხდა. აბდუჰმა, რომელიც კუნგ-ფუს ოსტატია, პოლიციელები მწკრივში დააყენა და გულ-მკერდის არეში მძიმე დარტყმები მიაყენა. Youtube-ზე გამოქვეყნებულ ვიდეოს ინტერნეტ-მომხმარებლის მხრიდან კრიტიკა მოჰყვა. მათი უმრავლესობა თვლის, რომ აბდუჰის საქციელი ჩინოსნისთვის შეუფერებელი იყო.

ᲞᲝᲚᲝᲜᲔᲗᲨᲘ ᲒᲐᲠᲔᲣᲚᲘ ᲦᲝᲠᲘ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐᲨᲘ ᲨᲔᲕᲐᲠᲓᲐ

პოლონეთში გარეული ღორი ეკლესიაში შევარდა და ქრისტეს ქანდაკება გატეხა. ინციდენტი ქალაქ ჰალემბეში მოხდა. ეკლესიაში ცხოველის შევარდნამ პანიკა გამოიწვია. ქრისტეს ქანდაკების გარდა გარეულმა ღორმა ორი ანტიკვარული ლარნაკიც დაამსხვრია.

◎ ოქროს ვერძი

დიდი „ალმასის ბუშტი“

ფულის ეკონომიკური განმარტების თანახმად, ნებისმიერი ვალუტა ოქროთი, ან სხვა ძვირფასეულობით უნდა იყოს უზრუნველყოფილი. მათ შორის, ცხადია, პატიოსანი თვლებიცაა, რომელთა შორის უპირველესი ალმასებია, რომლებიც დამუშავების შემდეგ ბრილიანტებად იქცევიან.

ალმასი – უნიკალური, ბუნებაში არსებული ყველაზე დიდი სიმაგრის მქონე მინერალია. მისი განსხვავებულობა იმაში მდგომარეობს, რომ სულ რამდენიმე კარატის წონის ქვა (ერთი კარატი 0,2 გრამია) შეიძლება ათობით, ზოგჯერ კი სულაც ასობით ათასი დოლარი ღირდეს.

სხვა პატიოსან თვლებთან – ზურმუხტებთან, საფირონებთან, ლალებთან და ა.შ. ერთად, ბრილიანტებით ოდითგანვე სამეფო ტახტებსა თუ გვირგვინებს, დიდებულთა იარაღს, ძვირფასი ლითონების სასმისებს, სამოსელს ამკობდნენ, მანდილოსანთა თუ მამაკაცთა სამშვენისებს ამზადებდნენ. ამჟამად ყველაზე ძვირადღირებულია ბრენდირებული ნაკეთობების ბრილიანტები, რომლებსაც საქვეყნოდ ცნობილი ფირმები – „ბულგარი“, „ტიფანი“, „გრაფი“, სხვები – საარაკო ფასებად ყიდიან. ამჟამად კი ბრილიანტებზე მოთხოვნა მსოფლიოში შემცირებულია. ამის ერთ-ერთი მიზეზი ისაა, რომ ათწლეულების მანძილზე მათ მოპოვება-დამუშავება-რეკლამირება ბაზარზე მიწოდებას მონოპოლიურად საერთაშორისო კორპორაცია „დე ბირსი“ ეწეოდა, რომლის აქტივების ღირებულება 10-12 მილიარდი დოლარიდან ამჟამად 2 მილიარდამდეც ვეღარ აღწევს. მეორე გარემოება კი ისაა, რომ ამჟამად მსოფლიოში უსწრაფესი ტემპით იზრდება ჩინური ხელოვნური ბრილიანტების პოპულარობა, რომლებიც ამ ქვეყანაში უმაღლესი იუველირული ხარისხისაა.

არადა, ცოტა ვინმემ თუ იცის, რომ თავად ალმასების სიძვირე – ესაა ათასწლეულების ისტორიის მქონე თაღლითობის ისტორია. საქმე ისაა, რომ ბუნებაში ალმასები იმ ოდენობითაა, რომ მსოფლიო ბაზრის ნებისმიერი მოთხოვნილება დაკმაყოფილდეს, ხოლო კაცობრიობის მთელი ისტორიის მანძილზე ბრილიანტებად დამუშავებული ალმასების წონას თუ დავიანგარიშებთ, გამოვა რამდენიმე მილიონი ტონა(!) ამასთან, ანგარიშიდან ნურც ის გამოგვრჩება, რომ ზემაგარი მასალების გამოგონებამდე, ფასი სამრეწველო ალმასებსაც ჰქონდათ.

„ალმასური აფერის“ სულისჩამდგმელები კი ბრიტანელი ავანტიურისტი **სესილ როდსი** და მისი მემკვიდრეები, ამჟამად მსოფლიოს ერთ-ერთი უმდიდრესი და როტშილდებთან და მორგანებთან ერთად ყველაზე გავლენიანი ოჯახის ოპენჰეიმერების წარმომადგენლები იყვნენ. 1888 წელს ავანტიურისტმა სესილ როდსმა, რომლის პატივსაცემად სამხრეთ აფრიკული ქვეყანა როდეზია სწორედ მის სახელს ატარებდა, კომპანია „დე ბირსი“ დააარსა (ესაა ჰოლანდიელი ძმების დე ბირსების გვარიდან ნასესხები სახელწოდება, რომელთა ფირმის მიმდებარედ მსოფლიოში ალმასების ერთ-ერთი უდიდესი საბადო აღმოაჩინეს – **დ.ხ.**). როდსმა საბადოს ტერიტორია და მიმდებარე მიწები შეიძინა, შემდეგ კი „ალმასების სინდიკატი“ შექმნა, რომლისთვისაც ეგრეთ წოდებული „საითჰოლდერის“ სისტემა მოიგონა, როცა კომპანია ალმასებს მხოლოდ რჩეულ მოვაჭრეებზე ყიდის, თანაც უთითებს, თუ რა ფასად (კერძოდ, არანაკლებ 40-პროცენტიანი წამატებისა) უნდა გაყიდონ. ამ ხერხის მეშვეობით კი ალმასების ფასები „ღრუბლებს აღწევდა“.

1920 წელს „დე ბირსს“ სათავეში ჩაუდგა ერნსტ ოპენჰეიმერი. 1933 წელს მან ცენტრალური გამსაღებელი ორგანიზაცია ჩამოაყალიბა, რომლის ხელში ალმასებით მსოფლიო ვაჭრობის 94 პროცენტი აღმოჩნდა! მერე კომპანიამ აშშ-ის უძველესი სარეკლამო ფირმა დაიქირავა, რომლის სპეციალისტებმა ბრილიანტის ბეჭდები საცოლის დანიშვნის ტრადიციას დაუკავშირეს, განუწყვეტელმა მიზანმიმართულმა მსოფლიო დონის სარეკლამო კამპანიამ მიზანს მიაღწია – მამაკაცების აღქმაში ბრილიანტის ბეჭედი საცოლისთვის უძვირფასესი რომანტიკული საჩუქრის სინონიმი გახდა, თანაც თვლის ზომა გრძნობათა პროპორციული უნდა ყოფილიყო. იგივე აზრს ქალიშვილებსაც აქტიურად უნერგავდნენ.

1941 წლისთვის კი სარეკლამო კამპანიის დაწყებიდან სულ რაღაც სამ წელიწადში, ამერიკაში ბრილიანტების გაყიდვამ 55 პროცენტით მოიმატა. 1947 წელს მერი ფრენსის ჯერეტის მორიგი სარეკლამო პლაკატისთვის მოგონილი წარწერა „ბრილიანტები – სამუდამოდ“, 2000 წელს მე-20 საუკუნის საუკეთესო სლოგანად აღიარეს, ხოლო „დე ბირსი“ კი მას დღესაც იყენებს.

დალი ხუნდაძე

ჭადრაკი

ჩემპიონატს კვარტეტი შემორჩა

საქართველოს მოჭადრაკე ვაჟთა 77-ე ეროვნულ ჩემპიონატში, რომელსაც თბილისის ჭადრაკის სასახლე მასპინძლობს, ნოკაუტსისტემით მედლებისთვის ბრძოლაში სხვადასხვა კუთხის 16 წარმომადგენელი ჩაება.

პირველ რაუნდში ბრძენთა თამაშის ქომაგებს სიურპრიზი შესთავაზა 13 წლის ნიკოლოზ კაჭარავამ, რომელმაც ასპარეზობის რეიტინგფავორიტი და საქართველოს ნაკრების წევრი ლევან ფანცულაია დაამარცხა.

I რაუნდი. ლევან ფანცულაია (2605)- ნიკოლოზ კაჭარავა (2302) 0.5:1.5 (ორი პარტიის ჯამში), გიგა ყუფარაძე (2499)-დავით ბენიძე (2501) 1.5:0.5, ნიკოლოზ პეტრიაშვილი (2371)-დავით ჯოჯუა (2586) 0:2, დავით არუთინიანი (2545)-ბაჩანა მორჩიაშვილი (2384) 0.5:1.5, ირაკლი ახვლედიანი (2334)-მიხეილ მჭედლიშვილი (2602) 0.5:1.5, ლუკა პაიჭაძე (2588)-ნოე თუთისანი (2367) 1.5:0.5, დავით მაღალაშვილი (2506)-ირაკლი ბერაძე (2465) 1:1, გიორგი სიბაშვილი (2392)-თორნიკე სანიკიძე (2525) 1:1. ბოლო ორ წყვილში გამარჯვებული ორ-ორმა 10-10-წუთიანმა რაპიდმა (ყოველ სვლაზე 10-10 წამის დამატებით) გამოავლინა: სანიკიძემ 1.5:05 აჯობა მეტოქეს, ხოლო მაღალაშვილმა ორივე სწრაფი პარტია მოიგო.

დავით ჯოჯუა

მეოთხედფინალი: ნიკოლოზ კაჭარავა-გიგა ყუფარაძე 1:1 (ტაიბრეიკში 0.5:1.5), დავით ჯოჯუა-ბაჩანა მორჩიაშვილი 1.5:0.5, მიხეილ მჭედლიშვილი-დავით მაღალაშვილი 1:1 (ტაიბრეიკში 3:2), ლუკა პაიჭაძე-თორნიკე სანიკიძე 0.5:1.5.

ნახევარფინალის პირველ ტურში საქართველოს ნაკრების წევრმა დავით ჯოჯუამ გიგა ყუფარაძეს თეთრი ფიგურებით 44-ე სვლაზე საათი გააჩერებინა, ხოლო, ასევე ნაკრების წევრმა მიხეილ მჭედლიშვილმა დრამატულ შეხვედრაში თორნიკე სანიკიძეს 38-ე სვლაზე აჯობა.

მეოთხედფინალში დამარცხებულები საპრიზო ფონდიდან (21.500 ლარი) 500-500 ლარს მიიღებენ. პირველ-მესამე ადგილებზე გასულნი, შესაბამისად, 7.500-5.500-4.000 ლარით (მეოთხეადგილოსანს 2500 ლარი შეხვდება) დაჯილდოვდებიან, თანაც მათ საქართველოს ჭადრაკის ფედერაცია ევროპის ჩემპიონატზე გასამგზავრებლად დააფინანსებს. კონტინენტის პირველობას კი 16-29 მარტს ბათუმი უმასპინძლებს. ჩემპიონს შვეიცარიული სისტემით 11 ტური გამოავლენს. ტურნირის საპრიზო ფონდია 100.000 ევრო. პირველ-მეოცე ადგილებზე გასულ მოჭადრაკეებს ფულადი პრიზები შეხვდებათ: გამარჯვებულს — 20.000, ვიცე-ჩემპიონს — 15.000 და ბრინჯაოს მედალოსანს — 10.000 ევრო.

ლაშა დიდია

ვახტანგიანა

თბილისის მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნულ სასახლეში საჭადრაკო სკოლა სახელოვანი მწვრთნელის ვახტანგ ქარსელაძის სახელობისაა. ცნობილმა მაესტრომ მსოფლიოს საჭადრაკო სამყაროს აღუზარდა ორი ტიტულოვანი დიდოსტატი — ნონა გაფრინდაშვილი და ნანა ალექსანდრია, რომ არაფერი ვთქვათ მის სხვა მოსწავლეებზე.

ვახტანგ ქარსელაძე 21 იანვარსაა დაბადებული. მადლიერმა შეგირდებმა ამაგდარი პედაგოგის სახელის უკვდავსაყოფად შარშან ამ დღეს კიდევ ერთ საინტერესო ტურნირს ჩაუყარეს საფუძველი სახელწოდებით „ვახტანგიანა“, რომელიც წლეულს მეორედ ჩატარდა. შვეიცარიული სისტემით შვიდ ტურად გამართულ 10-10-წუთიან რაპიდში სხვადასხვა ასაკისა და პროფესიის 32 წარმომადგენელი მონაწილეობდა. მათ შორის იყვნენ ცნობილი მეცნიერები — ლევან ბრეგაძე, გია მურღულია და ნოდარ სარჯველაძე, მწერლები — შოთა იაქაშვილი, ჯემალ ინჯია, გიორგი ლორთქიფანიძე, გივი ცოტნიაშვილი, ოთარ ჯირკვალიშვილი, საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის ექსპრეზიდენტი ვაჟა შუბლაძე, მხატვარი კარლო ფაჩულია, დირიჟორი რევაზ ტაკიძე, ფოტოხელოვანი გოგა ჩანადირი, იურისტი ნათია წკეპლაძე და სხვები.

ტურნირი უდანაკარგოდ გავლო ეროვნულმა ოსტატმა , მწერალმა, „საბას“ პრემიის ლაურეატმა **ოთარ ჯირკვალიშვილმა,** რომელიც ჭაბუკობისას სერიოზულად იყო გატაცებული ჭადრაკით და საქართველოს ნაკრებთან ერთად 16-წლამდელთა მსოფლიო ოლიმპიადის (1998 წ.) პრიზიორია. გამარჯვებულს ქულით ჩამორჩა და მეორე ადგილზე გავიდა **საბა ლომსაძე**. 5-5 ქულით მესამე-მეხუთე ადგილები, შესაბამისად,

ანასტასია სიდამონიძემ, ეროვნულმა ოსტატმა **იური ჩიქოვანმა** და მსახიობმა **გოჩა თანდარაშვილმა** გაიყვეს.

გამარჯვებულები და პრიზიორები მსოფლიოს ორგზის ვიცე-ჩემპიონმა **ნანა ალექსანდრიამ** დააჯილდოვა. ტურნირის ორგანიზატორებმა აღნიშნეს, რომ „ვახტანგიანა“ ყოველწლიურად გაიმართება.

ლექსო ციცაძე

სურათებზე: ანასტასია სიდამონიძე, ოთარ ჯირკვალიშვილი, საბა ლომსაძე; შეჯიბრების მომენტი.
ვაჟა ღანელიას ფოტო.

კრივი

ევროპის რეპეტიცია სარკოვში

საქართველოს მოკრივეებმა შარშან საერთაშორისო სარბიელზე მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწიეს — მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებსა და პირველობებში ორი ოქროს, სამი ვერცხლისა და ოთხი ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. ახალი სეზონისთვის წვრთნა შარშან 15 დეკემბრიდან დაიწყეს — ბორჯომში ორკვირიანი საერთო ფიზიკური მომზადება გაიარეს.

გუშინ დკდ-ს კლუბში დაამთავრეს საწვრთნელი შეკრება 22-წლამდელთა ნაკრების (მთავარი მწვრთნელი ლაშა დუნდუა) წევრებმა. ისინი ამ ასაკში ევროპის ჩემპიონატისთვის ემზადებიან, რომელსაც 24 მარტიდან 3 აპრილის ჩათვლით რუმინეთი უმასპინძლებს. შარშან მსგავს შეჯიბრებაში თბილისელი ესკერხან მადიევი (69 კგ) კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა, ხოლო ლაშა გურულმა (64) მხოლოდ ფინალური პაექრობა დათმო და ვერცხლის მედალს დასჯერდა.

დღეს ნაკრების წევრები ხარკოვს მიაშურებენ და ხვალიდან იქაურ საერთაშორისო ტურნირში ჩაებმებიან, რაც საევროპედ პირველი გამოცდა იქნება. უკრაინულ რინგზე საქართველოს სპორტულ ღირსებას დაიცავენ: **18-წლამდელებში** ევროპის ჩემპიონი სახილ ალახვერდიევი (49 კგ, თბილისი), უფროსებში საქართველოს ჩემპიონი ონისე სოსელია (52, ქუთაისი), ახალგაზრდებში საქართველოს ჩემპიონი არტიუშ გომციანი (56, ახალქალაქი), **18-წლამდელებში** ევროპის ვიცე-ჩემპიონი ოთარ ნავერიანი (60, მარნეული), **22-წლამდელებში** ევროპის ვიცე ჩემპოიონი ლაშა გურული (64, რუსთავი), **22-წლამდელებში** ევროპის ჩემპიონი ესკერხან მადიევი (69, თბილისი), ჭაბუკთა ევროპის ჩემპიონი და ახალგაზრდებში ბრინჯაოს პრიზიორი გიორგი ხარაბაძე (69, ქუთაისი), **18-წლამდელებში** 2015 წლის ევროპის ჩემპიონი ნიკოლოზ ბეგაძე (91, რუსთავი), არტემ იორდანიანი (91, ახალქალაქი) და **18-წლამდელებში** მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი გიორგი ჭიღლაძე (+91, ჭიათურა).

გივი გაგუა

ჩოგბურთი

ფედერაციისა და დევისის თასებზე

თებერვლის პირველ დეკადაში საქართველოს ჩოგბურთელ ქალ-ვაჟთა ნაკრებები ფედერაციისა და დევისის თასების 2018 წლის გათამაშების პირველ ორთაბრძოლებს გამართავენ.

მამაკაცების გუნდი (ნიკოლოზ ბასილაშვილი, გიორგი ცივაძე, ალექსანდრე მეტრეველი, კაპიტანი დავით კვერნაძე) ევროაფრიკული მეორე ზონის პირველი რაუნდის მატჩს 3-4 თებერვალს მარაკესში გამართავს მაროკოსთან. მასპინძლებმა შარშან ჯგუფში დასარჩენ პაექრობაში ლატვიას სძლიეს — 3:2, ჩვენებმა ფინეთს 3:2 მოუგეს, ლიტვასთან კი 2:3 დამარცხდნენ.

დევისის თასის გათამაშების ევროაფრიკულ მე-2 ზონაში 16 გუნდი იბრძოლებს ზედა ეშელონში დასაწინაურებლად. პირველ რაუნდში მაროკო-საქართველოს და რუმინეთ-ლუქსემბურგის წყვილებს შორის გამარჯვებულები მეორე წრეში 7-8 აპრილს შეხვდებიან ერთმანეთს, ხოლო დამარცხებულები ზონაში დასარჩენად იბრძოლებენ.

საქართველოს ქალთა ნაკრები

* * *

საქართველოს ჩოგბურთელ ქალთა ნაკრები (ეკატერინე გორგოძე (რეიტინგით ერთეულებში 330-ე, წყვილებში - 365-ე), სოფიო შაფათავა (358-ე, 239-ე), მარიამ ბოლქვაძე (559-ე, 631-ე), ოქსანა კალაშნიკოვა (0, 72-ე), კაპიტანი მარგალიტა ჩახნაშვილი-რანცინგერი) ფედერაციის თასის გათამაშების პირველი ევროაფრიკული ზონის ბინადარია. ამჟამად აქ 14 ქვეყნის წარმომადგენლები არიან, რომლებიც 7-10 თებერვალს ესტონეთის დედაქალაქ ტალინში მეორე მსოფლიო ჯგუფის პლეი-ოფის (2018 წლის აპრილი) 2 საგზურისთვის გაარკვევენ ერთმანეთთან ურთიერთობას. წილისყრით ისინი ოთხ ჯგუფში გადანაწილდნენ:

A **ჯგუფი:** საქართველო, სერბეთი, ბულგარეთი

B **ჯგუფი:** ესტონეთი, დიდი ბრიტანეთი, პორტუგალია

C **ჯგუფი:** ხორვატია, უნგრეთი, სლოვენია, შვედეთი

D **ჯგუფი:** პოლონეთი, თურქეთი, ავსტრია, ლატვია

7-9 თებერვალს ჯგუფური პაექრობები გაიმართება, 10-ში კი ზედა ეშელონში დასაწინაურებელ პლეი-ოფში ითამაშებენ: A1-D1, B1-C1, ხოლო ჯგუფში დასარჩენად იბრძოლებენ A3-D4, B3-C4.

ჩვენს ჯგუფში კარგი შემადგენლობა ჰყავს ბულგარეთს (ვიქტორია ტომოვა (138-ე, 0), იზაველა შინიკოვა (384-ე, 380-ე), ჯულია ტერზისკა (595-ე, 396-ე), გერგანა ტოპალოვა (891-ე, 1039-ე), კაპიტანი დორა რანგელოვა), მაგრამ წინა წლებში ქართველ ჩოგბურთელებს მეტოქე არაერთხელ დაუმარცხებიათ. სერბეთის წინასწარ განაცხადში არ არიან ალექსანდრა კრუნიჩი (46-ე) და ელენა იანკოვიჩი (158-ე). გუნდი ტალინში ასეთი შემადგენლობით აპირებს ჩასვლას: დეიან რადანოვიჩი (263-ე, 946-ე), ივანა ჯოროვიჩი (279-ე, 592-ე), ოლგა დანილოვიჩი (329-ე, მე-600), ბოიანა მარინკოვიჩი (563-ე, 527-ე), კაპიტანი ტატიანა ჟესმინიცა.

თამაზ პატარიძე

ავეჯის დამზადება თუ ქართული ხეტყის ოფიციალური დატაცება?!

ჩინელები საქართველოში ქარხნების გაღმოტანას გეგმავენ!!!

„საპარტნიორო ფონდის“ აღმასრულებელმა დირექტორმა დავით საგანელიძემ ფონდში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ძიანსის პროვინციის საქმიანი წრეების დელეგაცია მიიღო.

დელეგაციის შემადგენლობაში შედიოდნენ ძიანსის პროვინციის სატყეო დეპარტამენტის გენერალური დირექტორი იენ განძუნი, ქ. განჭოუს სატყეო დეპარტამენტის დირექტორი სუე იოუჩანი, სატყეო დეპარტამენტის ოფისის ხელმძღვანელი ლი ძუნი, საერთშორისო დეპარტამენტის ხელმძღვანელი ლი უციანი, Feishang Forestry Produce Co., Ltd. -ს თავმჯდომარე ჭან გუოლინი, Tonggu Huahui Industry Co., Ltd.-სა და Feishang Forestry Produce Co., Ltd. -ს თავმჯდომარე სიე იოუხუნი და Tuantuanyuan Furniture Co., Ltd.-ს თავმჯდომარე ლუო ხაილუნი. ფონდში გამართულ შეხვედრას საქართველოს ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსი თორნიკე გვაზავა ესწრებოდა.

ფონდში გამართულ შეხვედრაზე მხარეებმა სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივები განიხილეს. ჩინურმა მხარემ „საპარტნიორო ფონდისა“ და საქართველოს სატყეო სააგენტოს წარმომადგენლებს ქვეყანაში ოფიციალური ვიზიტის მიზნებისა და სამომავლო გეგმების შესახებ ინფორმაცია მიაწოდეს.

ჩინური მხარე საქართველოს სხვადასხვა ინდუსტრიაში ინვესტირებას გეგმავს. დელეგაციის საქმიანი წრეების წარმომადგენლები საქართველოს გარემოსა და სოფლის მეურნეობის სექტორით ინტერესდებიან. კერძოდ, სწრაფად განახლებადი ტყეების პლანტაციების გაშენებით, ხე-ტყის გადამუშავებითა და ავეჯის წარმოებით. ჩინელი ინვესტორები ხის გადამმუშავებელი ქარხნების საქართველოში გადმოტანას და ქვეყანაში დამზადებული პროდუქციის ევროკავშირის ბაზარზე გატანას გეგმავენ. შეხვედრაზე მხარეებმა ამ მიმართულებით ურთიერთთანამშრომლობის შესაძლებლობები განიხილეს.

დელეგაციის წევრების განცხადებით, საქართველო ინვესტორებისთვის მიმზიდველი ქვეყანაა.

„თქვენი ქვეყანა პატარაა, მაგრამ უდიდესი საინვესტიციო პოტენციალი გააჩნია. საქართველოს სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის თვალსაზრისით, გეოპოლიტიკურ რუკაზე უმნიშვნელოვანესი ადგილი უკავია. ამასთან, ქვეყანას თავისუფალი სავაჭრო რეჟიმები აქვს მსოფლიოს უძლიერესი ეკონომიკისა და მსხვილი ბაზრების მქონე ქვეყნებთან. საქართველოს როლს ზრდის ქვეყანაში არსებული თავისუფალი ინდუსტრიული ზონები და ლიბერალური საგადასახადო რეჟიმები“, — განაცხადა ძიანსის პროვინციის გუბერნატორმა ლიუ ციმ.

HTTP://WWW.BM.GE

შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების წესები

დადგენილების ამოქმედებას სახელმწიფოც მოუმზადებელი შეხვდა. როგორ აფასებენ დეველოპერები 41-ე დადგენილებას

ტექნიკური **რეგლამენტის ამოქმედებიდან ერთი წელი გავიდა. მთავრობის 41-ე დადგენილების ამოქმედების შემდეგ, დეველოპერულ ბიზნესს ახალი რეგულაციების შესრულება დაევალა, რაც მშენებლობის დროს უსაფრთხოების ნორმების მკაცრად გათვალისწინებას გულისხმობს.**

დეველოპერები რეგულაციების ამოქმედებას სწორად მიიჩნევენ, თუმცა სამშენებლო კომპანიების წარმომადგენელთა ერთი ნაწილი თვლის, რომ დადგენილება ნაწილ-ნაწილ უნდა ამოქმედებულიყო, რომ ბიზნესი ცვლილებებს მომზადებული დახვედროდა. ასევე მიიჩნევენ, რომ არის პუნქტები, რომელთაც დახვეწა სჭირდება. დეველოპერთა ნაწილი კი ძირითად პრობლემად იმ სპეციალისტების დეფიციტს ასახელებს, რომლებიც არქიტექტურულ-ექსპერტულ დასკვნებს აკეთებენ.

როგორც „კომერსანტს“ „GDG პლუსის“ დამფუძნებელმა ბეჟან წაქაძემ განუცხადა, ბიზნესისთვის ახალ სტანდარტზე გადასვლა მარტივი არ ყოფილა.

— მანამდე იყო გარკვეული განხილვები, მაგრამ გასული წლის პირველ იანვარს უეცრად ბევრი რეგულაცია ერთად შევიდა ძალაში. ბუნებრივია, ახალ სტანდარტებზე გადასვლა მარტივი არ იყო. რამაც დაბნეულობა შექმნა. ჩემი აზრით, რეგულაციების ამოქმედება ნაწილ-ნაწილ უნდა მომხდარიყო. არის პუნქტები, რომლებიც საკმაოდ მკაცრია. უფრო მეტად მომზადებულები რომ შევხვედროდით, აღარ გაგვიჭირდებოდა“, — აცხადებს წაქაძე.

მისივე თქმით, თავდაპირველად და ახლაც მთავარი პრობლემა სპეციალისტების ნაკლებობაა: „რეგულაციები ითხოვდა არქიტექტურულ დასკვნებს, რომლებიც ექსპერტს უნდა გაეკეთებინა. მერიამ ამ კუთხით მზადება მოგვიანებით დაიწყო. თავიდან არქიტექტორებიც ძალიან მცირე რაოდენობით იყვნენ. ექსპერტის დასკვნა უნდა მიგეტანა და ამ დროს ექსპერტი არ იყო, ვინც ამ დასკვნას დაგიწერდა. თუმცა ახლაც მათი რაოდენობა არასაკმარისია, რის გამოც დასკვნების სწრაფად გაკეთება დროში ჭიანურდება“, — აღნიშნავს „GDG პლუსის“ დამფუძნებელი.

მისივე განმარტებით, 41-ე დადგენილების ამოქმედება და გარკვეული რეგულაციების შემოღება საჭირო იყო, რადგან უსაფრთხოების ნორმების დაცვა აუცილებელია.

კიდევ ერთი სამშენებლო კომპანია „ივერონის“ დამფუძნებელი არჩილ ჯაყელი კი აღნიშნავს, რომ არ არის გამორიცხული რეგულაციების შემოღებამ ბიზნესს ხარჯები გაუძვიროს.

— ახალი რეგულაციები მომსახურებას გარკვეულწილად გააძვირებს. ჩვენს კომპანიას გასულ წელს მიმდინარე პროექტები ჰქონდა, თუმცა სამომავლოდ უკვე აღნიშნული რეგულაციებით ვიმოქმედებთ. დადებითი მხარე აქვს ის, რომ მეტი უსაფრთხოება, მეტი პასუხისმგებლობა იქნება, თუმცა ხარჯი გაგვეზრდება, — აცხადებს ჯაყელი.

მისივე თქმით, ახალ რეგულაციებს სახელმწიფოც მოუმზადებელი შეხვდა და ამაზე ექსპერტების დეფიციტიც მიუთითებებს.

— არა მხოლოდ ბიზნესი, სახელმწიფოც არ არის მზად, ყველაფრის კონტროლზე აყვანა უცებ რომ მოხდეს. სპეციალისტების დეფიციტი გვაქვს. ასევე, ჩემი აზრით, კარგი იქნება თუ კომპანიები ექსპერტთა ფირმებთან კონტრაქტს დადებენ, რომ უსაფრთხოების კუთხით მომსახურება გაუწიონ. ეს ფირმა რამდენიმე სამშენებლო კომპანიას მოემსახურება და პასუხისმგებლობასაც თავის თავზე აიღებს. ეს უფრო გაამარტივებს საქმეს. ყველა კომპანიამ და მათ შორის პატარა კომპანიამ უსაფრთხოების ცალკე კადრები რომ აიყვანოს, ეს უფრო რთული იქნება, — აღნიშნავს არჩილ ჯაყელი.

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში ტექნიკური რეგლამენტი — „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები“ ამოქმედდა. მთავრობის 620-გვერდიან დადგენილებაში საუბარია უსაფრთხოების მისაღწევად საჭირო მინიმალურ მოთხოვნებზე, როგორიცაა გასასვლელების სათანადოდ დაპროექტება, ხანძრისა თუ სხვა საფრთხეებისგან დაცვა, კიბეებისა თუ ლიფტების შესაბამისი წესების დაცვით მოწყობა და ა.შ.

თეონა კენჭიაშვილი

სანთელი

შვილები კოკა, სოსო მამულაიშვილები, დები რუსუდან, ქეთევან ბარათაშვილები ოჯახებით, სიძე ფრიდონ ლოლაძე, დეიდაშვილები, ბიძაშვილები, მამიდაშვილები მწუხარებით იუწყებიან, რომ მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

ნათელა ბარათაშვილი-მამულაიშვილი

პანაშვიდი 24 I, 17 სთ. გამოსვენება 25 I, 14 სთ. თბილისი, ბოლქვაძის ქ. №3.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის 1974 წლის კურსდამთავრებულები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა თანაკურსელი, სამეგობროს თვალი, სიკეთისა და სიყვარულის მთესველი დიდი ქალბატონი, გამორჩეული ოჯახის, შვილებისა და შვილიშვილების დედა და ბებია, ბარათაშვილთა საგვარეულოს ღირსეული წარმომადგენელი

ნათელა ბარათაშვილი

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახსა და ახლობლებს.

სპარტაკ ქობულია ოჯახით თანაუგრძნობს კოკა და სოსო მამულაიშვილებს ძვირფასი დედის

ნათელა ბარათაშვილის

გარდაცვალების გამო.

შვილებო! არ დაგავიწყდეთ: დედათქვენი ის ქალი იყო, რომელიც აქ ყოფნით სიცოცხლეს გვიადვილებდა, ზეციურ სასუფეველში ნაადრევად წაბრძანებით სიკვდილს გვიადვილებს!

მეუღლე ოთარ გაბელაშვილი, შვილები ქეთინო, ნანა, სიძეები ირაკლი თოფურიძე, ზაზა სულუაშვილი, შვილიშვილები ოთარ, თინა თოფურიძეები, ელენე, გიორგი სულუაშვილები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ინგა ჩოდრიშვილი

პანაშვიდი 23, 24 I, გამოსვენება 25 I, 14 სთ. მისამართი: ნიკო ნიკოლაძის ქ. №5.

გურამ ანდრონიკაშვილი, გურამ ბაკურაძე, ალიოშა დავლიანიძე, ჯემალ ლაღიძე, ომარ ცაავა, გოგი ჭიჭინაძე, ნოდარ ბოკერია, თეიმურაზ პატარაია იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ოთარ გაბელაშვილის მეუღლე

ინგა ჩოდრიშვილი

და სამძიმარს უცხადებენ ოჯახის წევრებს.

თემურ მურღულია ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ კოტე და დავით კაპანაძეებს გარდაეცვალათ დედა

ნათელა მაჭარაშვილი-კაპანაძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

შვილები ლალი, იური ჯიშკარიანები, სიძე ვასილ ზღუდაძე, რძალი ნუნუ ჯიმშელეიშვილი, შვილიშვილები სოფიო, თამარ ზღუდაძეები, ირაკლი, ნინო ჯიშკარიანები, შვილთაშვილები ალექსანდრე, ლილე გოგიშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ელენე ჯიშკარიანი

პანაშვიდი 25, 26 I, დაკრძალვა 27 I , 14 სთ.
მისამართი: თბილისი, გლდანის რაიონი, კაჭარავას ქ. №3

მკვლელობაში ბრალდებულს ხელისუფლება მფარველობს?!

მესტიაში **მოკლული „ნაციონალური მოძრაობის“ ადგილობრივი ორგანიზაციის ხელმძღვანელის ლომერ ნიგურიანის ოჯახი გამოძიებას უნდობლობას უცხადებს. ნიგურიანის ახლობლები ამობენ, რომ მკვლელობაში ბრალდებულს ხელისუფლება მფარველობს, სამართალდამცავი ორგანო კი გამოძიებას განზრახ აჭიანურებს.მათივე განცხადებით, ნიგურიანის მკვლელი მესტიის დატოვებას დახმარების გარეშე ვერ შეძლებდა. ოჯახის ვარაუდით, ის ან კვლავ მესტიაში იმყოფება ან ხელისუფლების დახმარებით, კოდორის ხეობაში გადაიყვანეს.**

მესტიაში საკრებულოს წევრი და „ენმ“-ის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე ლომარი ნიგურიანი გასული წლის 25 დეკემბერს მოკლეს. მკვლელობა მეზობლებს შორის შელაპარაკების ნიადაგზე მოხდა. ნიგურიანს ცეცხლსასროლი იარაღიდან ესროლეს.

ყურადღება!

2018 წლის 26 იანვარს, 15 საათზე ჩატარდება საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის მორიგი სხდომა, რომელზეც მოხსენებით გამოვა ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს სოფლის მეურნეობისა და ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიების აკადემიკოსი

ნოდარ ჭითანავა

თემაზე: **„მიწის რესურსების რაციონალურად გამოყენების პრობლემები საქართველოში“.**

სხდომა გაიმართება საქართველოს ჰუმანიტარულ-ეკონომიკური საბაკალავრო კოლეჯის სხდომათა დარბაზში (ალ. ყაზბეგის 47, VI სართული). დასწრება თავისუფალია.

თეიმურაზ ბაბუნაშვილი
საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის
პრეზიდენტი, პროფესორი
ქ. თბილისის საპატიო მოქალაქე.

2017 წელს მსოფლიოში 129 მილიონი უმუშევარი იყო

მსოფლიოში უმუშევრობის მაჩვენებელმა რეკორდულ ციფრს მიაღწია. შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მონაცემებით, გასულ წელს 192 მილიონი ადამიანი იყო უმუშევარი, რაც პლანეტის შრომისუნარიანი მოსახლეობის 5,6 პროცენტია. უმუშევრობის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ჩრდილოეთ აფრიკაში აღირიცხება, ყველაზე ნაკლები უმუშევარი კი დასავლეთ ევროპაშია.

ბუკინისტი იყიდის:

მე-18-მე-19 საუკუნეში გამოშვებულ წიგნებს — 1500 ლარად, საბჭოთა კავშირში გამოშვებულ ფაიფურის სტატუეტებს — 200 ლარად, ძვირად იყიდის 1945 წლამდე გამოშვებულ ჟურნალებს, მისალოც ბარათებს, გრავიურებს, ნახატებს, ხელნაწერებს, პლაკატებს, საბავშვო წიგნებს, მოვერცხლილ ან ვერცხლის ჭურჭელს.

591-75-35-38.

სილამაზე... იმუნიტეტის დასაცავად

სილამაზე მსხვერპლს მოითხოვს, ხშირად ძალიან დიდსაც. ისტორია ცხადყოფს, რომ იდეალური გარეგნობის გულისთვის ადამიანები — ყველა დროში! — ხშირად თავს ისახიჩრებდნენ, ზოგჯერ ამით თავსაც იკლავდნენ კიდეც, მაგრამ ერთი რამ ცხადია: ყველა ეპოქაში სილამაზის განსხვავებული კანონი იყო.



მაგალითად, ძველ ეგვიპტეში მოდაში იყო ფაშფაშა პარიკები, მათგან ყველაზე ძვირიანი იყო ადამიანის თმის, უფრო იაფიანი — თმისა და ცხვრის მატყლით შერეული, სულ იაფფასიანი ან მთლიანად მატყლისა, ანდა მცენარეული ბოჭკოსგან. ქალებიც და მამაკაცებიც თავებს იხოტრავდნენ, რაც მკბენარებისგან თავის დაცვაში ეხმარებოდათ. ისინი წითელი თიხის ფერუმარილს იყენებდნენ, ძალიან უყვარდათ საკმევლებიც.

ქალებიც და მამაკაცებიც თვალებს მალაქიტის მწვანე საღებავით იხატავდნენ, რომელიც მოგვიანებით ტყვიის მადნიდან მიღებულმა შავმა საღებავმა ჩაანაცვლა. ტყვია კია მომწამლავი, მაგრამ ეგვიპტელებს მიაჩნდათ, რომ ქუთუთოების დახატვა მათ სნეულებისგან იცავს. რამდენიმე წლის წინათ ქიმიკოსებმა ფილიპ უოლტერმა კოლეგებთან ერთად ძველეგვიპტური საღებავების ნარჩენები შეისწავლა და ტყვიის მარილის კვალი ნახა, რომელიც კანთან შეხებისას აზოტის ოქსიდის გამოყოფას უწყობს ხელს, რომელიც თავის მხრივ... ადამიანის იმუნური სისტემის რეგულაციაში მონაწილეობს.

ამდენად, გამოდის, რომ ძველმა ეგვიპტელებმა ჩვენზე უკეთ იცოდნენ, თუ რისთვისაც ილამაზებდნენ თავს...

ნეტავ რა გვცვლის ასე?

ადამიანის პიროვნება წლების მანძილზე იცვლება, აცხადებენ ედინბურგის (შოტლანდია) უნივერსიტეტის მეცნიერები.

მათ 1950 წელს ჩატარებული გამოკვლევის შედეგები გააანალიზეს, რომელიც ტესტირების შედეგად 1208 თოთხმეტი წლის მოზარდის პიროვნული თვისების აღწერას მოიცავდა. 63 წლის შემდეგ მეცნიერებმა ამ ჯგუფიდან 635 კაცი მონახეს და იგივე ტესტის გავლა სთხოვეს, რასაც 174 კაცი დათანხმდა. ამასთან, თითოეულ პენსიონერზე კითხვარები იმათაც შეავსეს, ვინც მათ კარგად იცნობდა.



მკვლევარებმა პასუხები შეადარეს და გაოცებული დარჩნენ, როცა ორ ტესტს შორის... არანაირი თანხვედრა არ აღმოაჩინეს — ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, თითქოს მათ სხვადასხვა ადამიანები პასუხობდნენ.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

გასაცინებელი ა(მ)ბები

საბაქოში

მებაჟე საზღვარზე მოგზაურის ნივთებს ათვალიერებდა და უცებ, თუთიყუშიანი გალია მოხვდა თვალში.

— ეს თქვენი თუთიყუშია? — იკითხა მან. — თუ თქვენია, დიდი ბაჟის გადახდა მოგიწევთ.

— რატომ?

— კანონის თანახმად, მხოლოდ მკვდარი თუთიყუშისთვის, ფიტულისთვის არ იხდით ბაჟს.

მოგზაური წამიერად ჩაფიქრდა, სახეზე ყოყმანი გამოეხატა და ამ დროს, გალიიდან თუთიყუშის ხმა მოისმა:

— რამე სისულელე არ იფიქრო! გადაიხადე ბაჟი!

დაქალები

ორი დაქალი მესამეზე ჭორაობს.

— პირდაპირ საკვირველია, რატომ აქამდე არ გათხოვდა.

— იმიტომ, რომ ეგ საკმარისად ჭკვიანია, რათა ცოლად არ გაჰყვეს ისეთ სულელს, ვინც მაგას ცოლად შეირთავდა.

მარჯვე

პატარა ბიჭი მამასთან ერთად ბაკალეაში შედის, ბაკალეის პატრონი ბიჭისკენ დაიხარა:

— გამომიწოდე მუჭა, კაკალს ჩაგიყრი.

— მამაჩემს ჩაუყარე, აჯობებს.

— ყოჩაღ, კარგია, რომ მამა გყვარებია.

— არა, მამას უფრო დიდი მუჭები აქვს.

ილბალი თუ არ სწყალობს

ცხინის კამერაში პატიმრები ერთმანეთს თავიანთ უიღბლობაზე უყვებიან.

— თქვენ ჩემი იკითხეთ! — ამბობს ერთ-ერთი პატიმარი. — საითაც გავიქეცი, სწორედ იქ წავიქეციო, ჩემზეა ზედგამოჭრილი. ერთხელ, ერთი მდიდრის ვილის გაძარცვა დავაპირე, მთელი ერთი თვე სულ ძეხვეულს ვაჭმევდი ვილის მოდარაჯე ძაღლს. ისე შემეჩვია, დამინახავდა თუ არა, პირდაპირ მლოკავდა. ასე რომ, ვილაში შესვლა არ გამჭირვებია... უკვე წინა ოთახში ვიყავი, კატას კუდზე რომ დავადგი ფეხი!..

ამირან ერაძის ნახატი

წერილი და პასუხი

ერთმა ყოველკვირეულმა თავისი მკითხველისგან შემდეგი შინაარსის წერილი მიიღო:

„ვინაიდან თქვენს რედაქციას ყველა საკითხის სპეციალისტი ჰყავს, გთხოვთ, კვალიფიცირებული კონსულტაცია გამიწიოთ, რატომ ხუჭავენ გოგოები თვალებს, როცა იკოცნებიან?“

რედაქციის პასუხი:

„გამოგვიგზავნეთ თქვენი ფოტოგრაფია ურეტუშოდ, მაშინ, ალბათ, შევძლებთ თქვენთვის საკითხის ახსნა-განმარტებას“.

გამოიწერეთ ან ყოველდღე იყიდეთ „საქართველოს რესპუბლიკა“ და ამით გადაარჩინეთ თქვენი გაზეთი

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.5340; ევრო - 3.1067;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.5235;
100 რუბლი - 4.4789; თურქული ლირა - 0.6653;
აზერბაიჯანული მანათი - 1.4907;
1000 სომხური დრამი - 5.2545.

ამინდი 24 იანვრისთვის
აღმოსავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +1, დღე +11
მთიანი რაიონები - ღამე -4, დღე +4
დასავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +2, დღე +10
მთიანი რაიონები - ღამე 0, დღე +6
თბილისი: ღამე +3, დღე +8

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-13-34,
599-79-76-79
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge